

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ

# ԻՍԿՐԱԿ



Գ. Մ. ԲԱՆԱՆԻ


1898 ԵՄՂԶՅԴԶԵ



ყურნალ აჯეჯილისა“

I	კატა. ლექსი — კას-იმუქისა . . . . .	3
II	ნალიტა ზ ფეთება. (სურ. შაგირდ. ცხოვრებიდან) ვ. ბაჩნოკისა. 5	5
III	პეტრე. ამბავი — გიორგი ბეკეჩასა . . . . .	17
IV	ია და ეკალა. ლექსი — იონასა . . . . .	22
V	პატარა ურია ტყვეობაში — გ. წყაღტუბელისა . . . . .	23
V	კატის ჭკუა-გორება — ი — სს . . . . .	33
VI	ფიზიოლოგიური წერილები (წერილი V III) — ივ. გომამ- თელისა . . . . .	40
VII	კოლო — თან — ენ კან — ინ — ისა . . . . .	44
VIII	საკვირველებანი ბუნებისა № 20 ენკინარი — ჯადო აღნია- შვიდისა . . . . .	52
IX	სამეცნიერო გასართობი № 10 უცნაური აბაზიანი — ბორასი . 55	55
X	სიტყვის ძალა (რუსულიდან) — თან — ენ კან — ინ — ისა . . . 56	56
XI	პირველი სასჯელი — ეკ. მ — სს. . . . .	58
XII	წერილმანი: ხალხურა, ანღაზა, გამოცანები, ანაგრამა, შა- რალა, რებუსი და სხვა . . . . .	61





ს ა ქ მ ე ა წ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

ქ უ რ ნ ა ლ ი

იზარდუ, მუვანე ჟეჟილო.  
დაპურდი, გახდი ყანაო..  
ი. დ.

№ XI

წ ვ ე ლ ი წ ა დ ი მ ე ს ხ ა მ ე

თ უ ი ლ ი ს ი



გ. დ. როჭინანცისა ||| Тип. М. Д. Ротинъца. Гол. пр. т. № 41.  
1898.



1898 წლის ნოემბრის 12-ს

თბილისი

Дозволено цензурою Тифлисъ, 12-го Ноября 1898 года.

IX M

საქართველოს მემორიალი


საქართველოს მემორიალი

1898



კ ა ტ ა.

ემო ფისუნი, ჩემო ციყუნი!  
 ჩემო მაშაშო, ჩემო კატუნი!  
 რასა ხრუტუნებ, რასა ჰკრუტუნებ,  
 ნეტამც ვიცოდე, რას მიტუტუნებ;  
 ნუთუ ჩიჩია მოგნდომებია  
 და შენ ფუფალაც გაგწერომებია.  
 მაჟადე, ფისო, დაუგებ რაგვსა  
 გათენებადის დაგიჭერ თავგსა;



მოგცემ კლანჭებში; ჯერ ათამაშე,  
 შეკკარი მაღლა, შეათამაშე;

ზოგჯერ გაუშვი და დაემალე,  
 როს მიდიოდეს კვლავ ეცი მალე;  
 ასე აწვალე და აწრუწუნე,  
 შემდგომ დაჯექ და შეაკნატუნე.  
 არ არის, ფისო, დასანდობელი,  
 სხვისა ნალვაწის არ დამნდობელი.  
 და ვინც თაგვივით ცხოვრობს ქურდულათ  
 გაკპარ კლანჭები, მოექცე მტრულათ;  
 გააქრე ყველგან მათი ხსენება  
 და ყველას მოგვეც მით მოსვენება.

კახ-იმეკი.




## ნალიტა და ფეთება.

(სურათი შეგიკვების

ცხვკებიდან).

### I

ალაქის განაპირას იდგა სამსართულიანი სახლი. ეზოს ქეითყირის გალავანი ერტყა. ქისკარი გამოდიოდა ქუჩაზე, რომელიც ბოლოს სასოფლო შარას უერთდებოდა. სახლის წინ, ხეებ ქვეშ, გძელი სკამები ელაგა. ეზოს ერთ კუთხეში მსახური ნაგავს აგროვებდა. რკინის პატარა აივანზე, რომელიც სახლის მეორე სართულს გადმოჰკიდებოდა, დადიოდა სათვალეებიანი ჭალარა კაცი გაზეთით ხელში. სხვა არაფინა ჩანდა არც შენობაში, არც ეზოში.



ჭალარამ დახედა საათს და გადასძახა ძირს. გაისმა ზარის წკრიალი. იმწამსვე მთელ სახლში შეიქნა ყრიაშული და ეზოში დიდძალი ბაეში გამოიფანტა. ეზო მთლათ აივსო ყმაწვილებით. ერთ ხანს ყველა ცალცალკე ხმაურობდა, იძროდა, ტრიალებდა, ხტოდა; მერე ჯგუფ-ჯგუფათ დაიყვენ და დაიწყეს ცელქობა: ერთგან წრელახტი დააბეს, სხეგან კაციდავლა მოაწყეს, აქ ბზრიალები შეაჯიბრეს, იქ პოლისუდრი შეაბზრიალეს;—დიდმარხვის პირველი კვირე იყო და ამ თამაშობების ხანა იდგა. რამდენიმე ყმაწვილი ცხენობანას თამაშობდა და ბრაგი-ბრუგით ურბენდა ეზოს.

საცა კაციდავლას თამაშობდენ, იმ ჯგუფის შორიახლო იდგა ერთი ბაეში წიგნით ილლიაში და პირზე ღიმი უქროდა. თითონ თუმცა მონაწილეობას არ იღებდა თამაშობაში, მაგრამ ტოლ ამხანაგე-



ბის ცელქობას სიხარულ-სიამოვნებით შეჰყურებდა. ეს ყმაწვილი სუსტი აგებულებისა იყო, ფერმკრთალი, ჭორფლიანი; პატარა ხელოები გაშრობოდა, ძარღვები ჩალურჯებოდა, თითები სახსრებში ჩაშვებოდნენ; წვრილი კისერი ღალღალღავით წაფეცდებინა. სიცოცხლით საესე ყმაწვილებში ეს ნალიტა ბიჭი შესამჩნევიც არ იქნებოდა, მაგრამ იმისი ნაღვლიანი, ჭკვიანი თვალები და კეთილი ღიმილი იზიდავდა მაყურებელს.

ყმაწვილები რომ გართული იყვნენ თამაშობაში, ოთახიდან გამოვარდა ერთი ქერა ბიჭი, ჯმუხი, მხარ-ბეჭიანი, აჭარხლებული. ეგება ცისფერ თვალებს აქეთ-იქით აფეთებდა. ბიჭი შეხტა, შემოტრიალდა, გამოჰკრა სარმა იქვე მდგომ ალაწოდას და მიწაზე გაართხნა; მანამ ის გონს მოვიდოდა, გაქანდა შორს, ეცა სხვას, წამოუწვა და გორგალსავეთ გააგორა; მოხსლტა ხარხარით, შეეარდა იმ ჯგუფში, კაციდავლას რომ თამაშობდნენ, და დაუქროლა.

— მოვიდა, ბიჭებო, ფეთება, მოვიდა! გაისმა აქეთ-იქიდან.

ფეთებამ თვალი შეასწრო ნალიტას, გადაფრინდა, მოჰკიდა ხელი, მოიტაცა, დასო წრის შუა, დაუარა, დაჰკივლა!

— დაჰკარით, დაჰკარით, ბიჭებო! ერთი დაუფთხეთ ამ წყეულს ბერძნული სიტყვები!

მოთამაშეები გახალისდნენ, დაენიენ. ბევრი მოხვდა ნალიტას, კიდევ ბევრი მოხვდებოდა, რომ ზარს არ გაეწკრილა და კლასებისკენ არ გაეფანტა წვრილფეხობა.

## II.

კლასში ნალიტა და ფეთება ერთათ ისხდნენ. იმიტომ მოუსყვეს გვერდში ამ წყნარ და მუყაით შავირდ ნალიტას ფეთება, რომ ის მეტათ დაუწყნარებელი და მოუსყვენარი იყო და ეგება ამხანაგის სიწყნარემ ალაგმოს როგორმე იმისი დაუდერაგობაო. სასწავლებელში ყველა ცდილობდა ამ ყმაწვილის მოშინაურებას, ყველა უღლოლია-

ვებდა, იმისთვის რომ მახვილი გონების პატრონი იყო და მოსწონდათ; ესე რომ არა ყოფილიყო, აქამდის გამორიცხული იქნებოდა, რადგან დღე რომ ერთი იყო, იმისგან წესების დარღვევა ათასი. უთმენდენ გადაჭარბებულ ანცობას, ეგება გონზე მოვიდეს და იმისი ნიჭი საბოლოოვით არ წახდესო.

ამ მეზობლისაგან ბევრი შავი დღე აღგა ნალიტას, მაგრამ მოთმინებით იტანდა ყველაფერს, რადგან უყვარდა: იმისი სიცოცხლით და ღონით საესე არსება აკვირებდა და იზიდავდა. ფეთებაც, თუმცა ათასნაირათ აწამებდა მეზობელს, გულში დიდ პატივსა სცემდა იმის მუყაითობას, იმისთვის რომ ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა იმდენი ხანი ერთ ალაგას ჯღომა და მეცადინობა, რამდენ ხანსაც ნალიტა ანდომებდა ამ საქმეს; მოსწონდა ისიც, რომ ამ ქია ყმაწვილს პატივისცემით ეპყრობოდა მასწავლებლობა, სკოლის დამაშენებელს ეძახდა.

საჭიროც კი შეიქნა ნალიტა ფეთებასათვის: ამას უთუოთ ან წიგნი დაეწიყდებოდა შინ, ან კალამს წვერი წამტერეული შეაჩნდებოდა, ან რვეულ-ქალაღი არ დახედებოდა აბგაში. ამისთანა შემთხვევებში ნალიტა იყო იმისი მხსნელი, რომელმაც მალე შეამჩნია ამხანაგის ხასიათი და წინდაწინვე ამზადებდა ყველაფერს, რომ გაჭირებაში დაჰმარებოდა. როცა გაკვეთილების დაწყებისას ფეთება თავის აბგას ეცემოდა, ნალიტა ღიმილით გაჰყურებდა იმას ქვეშქვეშ, აბა რა დასჭირდებო. მარტო დანა არასოდეს არ დასჭირდებოდა ფეთებას, რადგან სულ ხელში ეჭირა და ჩორკნიდა ყველაფერს; ხელებიც ხომ ყოველთვის დაბალთულ — დასერილი ჰქონდა. გარდა ამისა ნალიტამ ყოველთვის შევეიერათ იცოდა გაკვეთილი, ფეთებამ კი, უფრო ხშირათ, სახეპირო არ იცოდა და შეეღა ეჭირებოდა. ეს იმისთვის კი არა, რომ ბლაგვი გონებისა იყო, არა! ცელქობა-თამაშობაში იყო გართული და არ ეცალა, ვერც ხანგრძლივ ჯღომა-შრომას ეწყობოდა.

ფეთებაც კი უხდიდა ვალს თავისებურათ: წინათ თუ ყველას-



თვის ადვილი ხელწამოსაკრავი იყო ნალიტა, როგორც ულონო ბაე-  
ში, ახლა ვინ გაბედავდა იმის დაჩაგვრას?! ფეთება იმწამსვე იქ გაჩნ-  
დებოდა და ელუდასავით ეცემოდა თავხედს.

კლასში რომ ჩამწკრივდნენ ყმაწვილები, ფეთება გამოხტა შუა-  
ზე და მასწავლებლის მაგიდაზე დაიწყო დოლის დაკრა. ეშხზე მო-  
სულმა ამხანაგებმა ტაში ააყოლეს, სხვებმა საცეკვაოთ გაშალეს ხე-  
ლები, მაგრამ მასწავლებელმა შემოალო კარები და შეუშალა  
ქეიფი.

ამ მასწავლებელს ჩვეულებათა ჰქონდა, ჯერ შემდეგისთვის  
ახსნიდა საჭირო საგანს, მერე გაუგონებდა გაკვეთილს. მასწავლებელ-  
მა დაიწყო ლაპარაკი. ნალიტამ კისერი წაიგძელა და თვალზე გბ-  
რწყინებელი სმენათ გადაიქცა. ისე ხარბათ ჰკრეფამდა მასწავლებ-  
ლის სიტყვებს, თითქო მარგალიტებიო. ფეთება კი ამ დროს წიგნს  
ჩასჩერებოდა და ტუჩებს ატოკებდა, უხეიროთ დასწავლილ გაკვე-  
თილს იმეორებდა.

მასწავლებელმა შენიშნა ეს და გამოუძახა. ფეთება წამოხტა,  
ეშხიანათ დაიწყო, მაგრამ ქვეით და ქვეით ხმა დაუშო, დაბორძი-  
და, ჭირის ოფლი დაასხა; ბოლოს საფანელიც შემოაკლდა და... ნა-  
ლიტამ იგრძნო მუშტი გვერდში. ის შეჩვეული იყო ამ ნიშანს, მა-  
გრამ ახლა ჯერ ყური არ შეიბერტყა: წელან რომ ეზოში ოინი უყო  
ფეთებამ, იმაზე იყო გაჯაფრებული. გაუჭირდა ფეთებას. ნალიტას ვე-  
ლარ გაუძლო გულმა და დაუწყო ჩურჩულით დავიწყებულის მოგო-  
ნება. მასწავლებელმა შეამჩნია და ყური მოიყრუა: ორნივე იმისი  
საყვარელი შეგირდები იყვენ. როგორც იყო ჩაათვა გაკვეთილი.  
მასწავლებელმა რამდენიმე კერძო კითხვა მისცა. ფეთებას ახლა კი  
ალარ დასჭირდა შევლა: იმის შესანიშნავ მენსიერებას და მკვირცხლ  
გონებას ამისთანა კერძო კითხვებისა არ ეშინოდა.

—კარგი, მაგრამ შენ რომ ეგეთი ერთგული ამხანაგი არ გ'ჯ-  
დეს გვერდით, თავგები ჩაგითრევენ, აყვედრა მასწავლებელმა.

—არა, ბატონო, ვერ ჩავეტყევი სოროში! — მიუგო ფეთებამ.

## III.

ლამპები ჩაწეული იყო. ცისფერხუფიან ლამპებიდან მკრთალი სინათლე გამოკრთოდა. ოდნავ განათებული დიდრონი ოთახები ერთი-ერთმანეთს გადამოდენ და საესე იყვენ რიკრიგზე დაწყობილი რკინის კრაოტებით. საწოლები ისე მჭიდროთ იდგა, რომ შუაზე ძლიეს გაეტეოდა კაცი. თავით ტანისამოსის დასაწყობი დაბალი სკამები ჩაეჩხირათ. ოთახებში მძიმე სუნი იდგა, რადგან საქარეებიდან რივიანათ ვერ იწმინდებოდა ჰაერი, ფანჯრები კი დაეკეტათ. გათენება მოტანებული იყო. კრაოტებზე ყმაწვილებს ეძინათ, სულ ბოლო ოთახში კი, კუთხეში, ერთი საწოლი ცარიელი იყო. ამ კრაოტის ახლო რამდენსამე ყმაწვილს გამოჰღვიძებოდა და ჩურჩულებდენ:

— ბიჭო! ჩენი ნალიტა ამდგარა კიდევ, კრაოტი ცარიელია.

— დეე იმუშაოს! ხეალაც თუ ხუთი მიილო, ის გამოვა პირველი.

— არა, ისეე ვალოდიას დასწერენ პირველათ; სულ ის არის ხოლმე პირველი.

— არა მგონია! ნალიტამ ხომ რუსულშიაც ხუთი მიილო; ვალოდია რომ პირველობს, რუსულის წყალობითა პირველობს, თორემ სხვაში აბა რაში ჯობია იმას?

— ნუ იტყვიოთ! ვალოდიაც კარგი ბიჭია; ხედაეთ რამდენს კითხულობს.

— იმისთვის მაგ საგანში პირველობა რა საკეხარია? რა გასაკვირველია თავის დედა ენაზე ლაპარაკში ის ნალიტასა ჯობდეს?

— ბიჭებო! იციოთ მაგ თქვენმა ლაპარაკმა რა გამახსენა? გამოეხმაურა ფეთება. ერთ ბატონს და იმის მოჯაზაგირეს თათრის ოჯახში დაუღამდათ. ბიჭს ადრიან გამოეღვიძა, ნახა, ბალებს დაჰღვიძებოდათ და ჯიყვიყვებდენ; გაუკვირდა და ბატონს ხელი წაჰკრა:

— ბატონო, ბატონო! დახე როგორ სხაპასხუპით ლაპარაკობენ თათრულს! ნეტა ესე პატარებმა სად ისწაულეს!



— ბიჭო, შე ოჯახ დასაქცევო, მაგისტის როგორ მალევიდები? ეგენი ხომ თათრები არიან და თათრულს რომ ლაპარაკობდენ რა გასაკვირველია?! მიუგო ძილგამფთხალმა ბატონმა.

კიდევ ბევრს ილაპარაკებდენ ტოლები, რომ იმათ ჩურჩულზე გაღვიძებულ ამხანაგებს არ შეეციათ იმათთვის.

სამეცადინო ოთახში კი ნალიტა მიჯდომოდა ფანჯარას, სანთლის შუქზე საგანს იმეორებდა. დღეს უკანასკნელი გამოცდა იყო, მერე იმ მასწავლებლის საგანში, რომელსაც ძრეელ უყვარდა ნალიტა. უნდოდა მასწავლებელი ესახელებინა, თუმცა ეს გატაცებით მუშაობა ეტყობა დიდათ აწუხებდა: ისეც ფერმკრთალს მიწის ფერი დასდებოდა, თვალები ჩაღრმავებ-ჩაშავებოდა.

გამოცდა ძალიან იათათ დაუჯდა ნალიტას: მასწავლებლის საყვარელი შეგირდი იყო და ჯერ არც კი არაფერი ეკიოხათ, როდესაც შეაქო:

— ამ ყმაწვილმა კარგათ იცის საგანი, მთელი წელიწადი მუყაითობდა; დიდათ ნასიამოვნები ვარ მაგისაგან!

მაშინვე გაათავისუფლეს. როცა უკან დაბრუნდა, ამხანაგებმა დაწნატრეს იმას. ფეთებამ ბარაქალა უთხრა და ალერსის ნიშნათ მაგრა წაჰკრა გვერდში. ნალიტას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, სიწითლეც კი გამოაჩნდა ლოყებზე.

გათავდა გამოცდა. ყმაწვილების გონება რამდენსამე ხანს კიდევ იყო მოცუული ამ ამბით, მაგრამ მალე გადიყარეს ეს შავი ფიქრები და იმაზე დაიწყეს ოცნება, რა სიამოვნება მოელოდათ სახლში.

— ბიჭებო, ახლა ჩემი ლურჯა გზაზე იქნება; მამა ჩემი კაცს გამოგზავნიდა. რა ცხენია! ბიჭი უნდა, რომ ის გააჭენოს, ამბობდა ერთი.

— შენ ჩენი მერანა უნდა ნახო, რომ მაშინა თქვა. ორ-ოლ საყენზე ხტება; დოლში დაგეყავს ხოლმე, დაიკეცხა მეორემ.

— ბიჭებო, ბიჭებო! ბალს კიდევ მიეუსწორებ; მერე რამდენი ბალი გვიდგია! თქვა სხვამ.

— მე კიდევ ჩენი წყალი და ტყისაკენ მიმინჯარინ. რა კალმახი იცის! ტყე კიდევ ჟოლით არის საესე. ფეთებასთანა ამხანაგი უნდა მყეანდეს თან, რომ მთელი ტყე-ველი ფეხქვეშ ამოვიდო, თქვა მეფოსხემ.

— ჰოო, სწორეთ შენტვის მეცლება! გამოსძახა ფეთებამ; ვინ იცის ახლა როგორ მელის ჩემი თოფი; რა ნიშანი იცის!

ნალიტაც იმათში იყო, ისმენდა ამ ლაპარაკს და გულს ბინდი ფთარებოდა: იმას არაფერი არ უხაროდა სოფელში.

#### IV.

მზე საშუაღღეოს გადასცილებოდა. ცხელოდა. კალოში საღეწი ფიწლებით საქცევი გამხდარიყო ისე გაეხურებინა მზეს ნამჯა, რომ კეერის ქვეშ იფქვებოდა; კალო გარს ხარხებთ შემოეზღუდათ. ერთი ცხენით ლეწამდენ. კეერი თოკებით აებათ ცხენისთვის. თოკებზე ძონძები ეხვია, ცხენს ბარკლები არ დააცდესო. ჩამოძონძილ ხამუთ ქვეშ მივარი დაფინათ. კეერზე ვეება ქვა იყო დაკრული. ცხენზე ნალიტა იჯდა; პერანგზე ქამარი ეჭირა, თავზე ჭრელი ხელსახოცი წაეკრა, უხანგში ფეხშიშველა ფეხი ედგა. ოფლი ჩამოსდიოდა სახეზე. დალაღულიყო, არაქათი გასწყეცტოდა, მაგრამ მაინც გულდასმით ათვალიერებდა საღეწს, რომ ყველგან ღროზე მოეხეღრებინა კეერი და თანაბრათ გაეღეწა. ცხენიც ოფლში ცურავდა; თხელი კასერი წაეგძელებინა, ლაში დაეშვა, ყოველ ნაბიჯის გადაღმაზე ქმინამდა.

ნანეერთ ჩამონგრეულ საბძლის გვერდით. ჩდილში მიწოლილიყო, გაპონილ მუთაქაზე, გამხდარ-გამხდარი დედაკაცი და ხელები თავზე მოეჭდო—თავი ტკიოდა. იქვე ბუჩოში პერანგის ამარა ბაღლები თამაშობდენ, —ერთი სულ პატარა, მეორე მოზდილი; პატარა არნაღზე იჯდა, მეორე ცდილობდა გაეთრია ის. იქვე იწვა ჭრელი ძაღლი, ცხერი ფეხებ შუა ჩაედგა და ძილს აპირებდა, მაგრამ ბუხები არ ასენებდენ.

საბძლიდან გამოვიდა მალალმალალი კაცი; გაბარდნულ წვერ-ულვაშში ჩალა-ბზე გაჰხიროდა, ლილებ განსნილ ახალუხზე ულო ერთყა, ხელში ფიწალი ეჭირა. მიაველ-მოაველო ნამძინარევი თვალები კალოს და მერე მზეს განედა.

— კარგი, გადააყენე ე ცხენი, ბიჭო! ქცევის დროა. მანამ ეუქცევი, შენ ცივი წყალი ჩამომირბენინე, დაუძახა ნალიტას და მიუბრუნდა პატარებს:

— თქვე წუწვიშილებო, ე არნადი არ გამიტეხოთ, თორემ ტყავს გაგაძრობთ!

ნალიტამ ცხენი მიაყენა ჩრდილში და სურით ხელში წყაროზე წავიდა. ყმაწვილებმა დაადგეს არნადი. ძალღმა თვალები გაალო, გაიზმორა და ნალიტასკენ გაძუნძულდა. დედაკაცი ადგა კენესით და ფიწალს მოჰკიდა ხელი.

წყარო ხევის პირას ამოჩუხჩუხებდა მუხის ძირში. ხეს ჯირკვები შემოიხებია ანკარა წყლისათვის და აუზი გაეკეთებინა. თითონ ხეში მოზდილი ნაკადი მოჩანჩქარებდა. შამბი და ბუერა მოსდებოდა მიდამოს.

ნალიტას მიუხაროდა წყაროზე, მაგრამ სიარული უძნელდებოდა: ფეხშიშველა იყო, გოროხები ფეხებს აჩქლეთდენ, გზის გადახვევა კი შეუძლებელი იყო, რადგან მარცხნივ შამბ მორეული ხევი მოსდევდა, მარჯვნივ ბლაგვებით საფეხ ნათიბი. მივიდა. ეწაფა. გაგრილდა.

მოსწონდა ნალიტას წყაროზე და ნაკადის პირას ყოფნა, ტყემინდორში სიარული. უყვარდა ბუნების კალთაზე ოცნება; სულით და ხორციით ისვენებდა აქ. რომ წამოაწვებოდა მდელოზე და დაუწყებდა თვალიერებას ყველა ყვაილს, ყველა ჭიას, რომელიც ცხოვრობდა ამ ბალახ-ყვაილებში და ტკებოდა თავის არსებობით, როცა იყნოსებდა ყვაილ-მცენარეების სუნწელებას და გაიცილდა იმათ სიშვენიერ-სიკვეკლუცეს, დაავიწყდებოდა ყველა ავი, მოუწდებოდა შეერთებოდა იმათ და ისე დამტკბარიყო თავის ყოფით. როცა

ტყეში ზის ძირში წამოწოლილი შეჭყურებდა ლაქვარდ ცას, ათე-  
ლიერებდა ამაყათ აზიდულ ტოტებს, მათ ხასხას ფოთლებს და  
სუნთქავდა სუფთა ჰაერით, მაშინ თითქო დაჰნატროდა იმათ, რომ  
ისე უდარდელათ ცხოვრობდნენ. ან ღამე, როცა ვარსკვლავებით  
მოქედლილ ცას შეჭყურებდა და იმათ სხივებს თვალით იჭერდა, ცო-  
ცხალ არსებებათ ეჩვენებოდნენ ისინი. ნაცნობებიცა ჰყვანდა იმათში  
ნალიტას: აგერ ის პატარა ოდნავ მბჟუტავი ვარსკვლავი, ბრწინვა-  
ლე ვარსკვლავების უკან რომ მიმალულა სამხრეთისკენ, იმის ძვე-  
ლი მეგობარია, დიდი ხანია იმან ის თავის ბედის ვარსკვლავათ და-  
სახა. ნაკად-წვაროს საუბარიც ესმის ნალიტას: ანკარა რომ ჩუხჩუხ-  
ჩხრიალებს და მიისწრაფის, თითქო ნალიტას იტყუებს: ჩავსხდეთ,  
ჩავისრიალოთ, ყვავილ-ბალახს მოვეჩვიოთ-მოვესაყვარლოთ, თევზები  
გავაგრილ-გავახალისოთ, სხვა ნაკადებს დაუძმობილდეთ, შორი  
მხარეები ვნახოთ, ქვეყანა ავამწვან-ავალაღანოთ; ნუ კი გეშინიანო!

მაგრამ ნალიტას საოცნებო დრო ერთობ ცოტა ჰქონდა. არ  
ეცალა. იმისი მამა მუდმივ ცხენზე იყო გაკრული და გარე-გარე დაწ-  
რწოდა ლუკმის საშოვნელათ, დედინაცვალი ავითმყოფობდა და თავი  
მოსძულებოდა, თავის პატარებსაც ვერ უფლიდა. ნალიტალა იყო  
ერთათ-ერთი მორბედი.

— ნალიტ, წადი! ნალიტ, მოდი! აკვანი გადაარწე, ძროხა შე-  
მოიგდე, წყალი მოარბეინე, შეშა შემოიტა, საქმელს მიუმარჯვე,  
სამოვარი დადგი; რასა ჰგდინარ და ცხენს არ მიჰხედა! ცოცხი,  
ცოცხი! შკოლაშიაც გეყოფა უსაქმოთ გდება.— ესმოდა მუდამ ნა-  
ლიტას და გული ეჩაგრებოდა.

ნალიტაც ქედმოხრილი ასრულებდა ყველაფერს, მაგრამ იმდენიც  
რომ აღარ შეეძლო! ბევრჯელ ჩაუყვცნია ტვირთ ქვეშ, ბევრჯელ  
გაჩენის დღე უწყველია, მაგრამ იმისი სახლი ასე იყო მოწყობილი  
და რას იზამდა?

აი, წელსაც კალოობას შემდეგ ნალიტა პურის რეცხას შეელოდა  
თავისებს. თხლათ ნაქსოვ ღაზლის ტომარაში ჩაეყარათ ხორბალი,

ჩაეყოთ მდინარეში და ფეხით რეცხამდენ. წყალში ხორბალთან ერთად მიწა-მტვერიც ლპებოდა და წყალს ქუქყათ გასდევდა. ხორბლის რეცხვა, ზიდვა, ფენა, ყარაულობა მძიმე საქმე იყო და, თუმცა ნალიტაანი ყველანი ებძოდნენ ამ სამუშაოს, ყმაწვილი მაინც ძლიერ დაიღალა. საღამოზე ქანც გაწყვეტილი მიეგდო ბანზე. იმ დღიდან ნალიტას ციება დაწყებინა, ისეც გამხდარ—გაცრეცილი კატების ნათრევს დაეგვანა.

ავგისტოს გასულღებში მაინც საქალაქოთ გამოწყობილიყო ნალიტა: თეთრი ხალათ — შალვარი ჩაეცვა, წალები მოენახა, რუსული ქუდი დაეხურა, ბოხჩა შეინდის ჯოხზე აეგო. ნალიტას ხშირათ მოუხდებოდა ხოლმე ქალაქში ფეხით სიარული. გამოემშვიდობა ყმაწვილებს, დაჰკოცნა. მერე მივიდა ტახტთან და მოკრძალებით შედგა: იქ იმისი დედინაცვალი მიწოლილიყო, გვერდით ძმარ — სახამებლით საფეე ლამბაქი ედგა. ყმაწვილი ერთ ხანს იცდიდა, ეგება გამოემშვიდობოსო, ბოლოს გაბედა და უთხრა:

— დედიჯან! აი, ქალაქს მიედივარ.

დედაკაცი წამოჯდა, ამღვრეული უსიცოცხლო თვალები მიაშტერა მგზავრს, თითქო ვერ შეუგნია, რას ეუბნებიანო და უთხრა:

— კარგი! კარგი!

ნალიტა თვალში ცრემლმორეული გაუდგა გზას.

## V.

შემოდგომის წვიმა ვადალებას აღარ აპირებდა. ისეც ხომ მალე ღამდებოდა მაგრამ ახლა მოღუშული ცა უფრო ადრე ჩამოზნელდებოდა ხოლმე. ლამპებს ექვს საათზე ანთებდნენ და მაშინვე შელაღავდნენ ყმაწვილებს სამეცადინოთ. ცხრა საათამდის შემწყვედულები უნდა ყოფილიყვნენ, ეკითხ-ეწერათ. ზოგისთვის ეს დრო საკმარისიც არ იყო, რადგან მეცადინეობაში იყვნენ ჩაბმულ — გართულები და საათი წუთათ ეჩვენებოდათ. უმეტესებას კი მეცადინეობა ჩვეულებ-

ბათ ვერ გადაჭკვოდა და ეძნელებოდათ. ესენი ზოგნი თვლემდენ, ზოგნი წამდაუწუმ თავიანთ უჯრებთან მიზბოდენ ან კარში გადიოდენ, ზოგი რასმე ხატავდა, წიგნი კი დაეკეცა, სხვებს საუბარი გაებათ და აინუნში არ მოსდიოდათ, რომ სხვებს მეცადინეობას უშლიდნენ, თუმცა ბასი მეცადინეობის დროს სასტიკათ იყო აკრძალული და იშვიათათ ჩაუვლიდათ ხოლმე დაუსჯელათ ასეთი ლაყობა.

ამისთანა უწესოებაში ბევრჯელ შეენიშნათ ფეთება, ბევრჯელ დაესაჯათ, მაგრამ ის თავისას არ იშლიდა: არ იქნა, ვერ შეეჩვია წყნარათ ჯდომას. აი, ახლაც შეეკრიბა ამხანაგები და მოუთხრობდა:

— რომ გადავადექ, ბიჭო, ბეგს და გადავხედე ტბას, გული ამიფანცქალდა: ზედ ჯელგა ჯელგა იხვები დაცურადენ. დავიხარე დაბლა და გავწიე. მალე ლელიანამდის მივალწიე. ერთ ალაგას ლელი წყდებოდა და ტბის პირამდის მარტო ბალახ-ბულახი მისდევდა. გავეკარ მიწას. მივეცურავ და თან თვალს არ ვაშორებ დედალ მამალ იხვს, რომლებიც ზედ ნაპირზე დაცურადენ. ცოტაცა და სროლა შეიძლებოდა. ჩახმახი ფეხზე შევაყენე. ისევ გავცურდი. უცებ ბალახებმა გაიშრიალეს და ზედ წინ გველი კი წამომიდგა ყირაზე. მერე რამოდენა! ე ბარძაყის სისქე კი იქნებოდა ი წყეული.

— ამბობენ, მაგისთანა ადგილებში ძალიან დიდი გველი იცისო, ზოგჯერ ჯაგრიანი და რქიანი გველიც უნახავთ; ღამე თურმე თვალს ათამაშებენ, ჩაურთო სიტყვა სხვამ.

— თმები ყალხზე შემიდგა, განაგრძო ფეთებამ, ერთი შევეკიე-ლე და იქექა კიდევ თოფმა. გველი მაშინვე უკან გადიშხლართა. მე ჯერ გამოვიქეცი, მერე ფთხილათ დავბრუნდი და დავხედე: იხლართებოდა, თავ-კისერი სულ დაგლეჯილი ჰქონდა საფანტით.

— ამბობენ, ბიჭო, გველს ტყვია არ ასცდებო, ჩაერია ლაპარაკში სხვა.

ამ ბაასში რომ იყვენ შაგირდები, შემოესმათ აღმზღელის ხმა,

რომელიც ფეთებას ეძახდა. გაჩუმდნენ. თავთავიანთ ადგილას დაიფანტნენ. ფეთება ფერნაცვალი გაჰყვა უფროსს.

— ახლა კი მოჰხედება ჩვენ ფეთებას, თქვა ერთმა.

— კარცერში ჩამწყედვეენ, მოიაზრა მეორემ.

— იმდღესაც ჰყვანდათ დამწყედული; ნახამ, თუ არ გამოარიცხეს, დასძინა სხვამ.

ფეთება მისდევდა უფროსს და დასჯას მოელოდა, იმან კი საავთმყოფოში შეიყვანა ნალიტასთან: ავთმყოფს ძალიან მოენდომებინა ამხანაგის ნახვა და ექიმსაც უარი ვეღარ ეთქვა.

ნალიტა ხომ სოფლიდან ავთმყოფი ჩამოვიდა. ქალაქში ექიმობდნენ, მაგრამ სიცხე მაინც არა ჰწვდებოდა. შემდეგ სიცხე უგემობას ხველა დაერთო და ყმაწვილი საავთმყოფოში დააწვინეს. ახლა ნალიტა ისე გარჩეულიყო სახიდან, რომ საბან ქვეშ ძლივს დაჩანდა. მარტო თვალემათ იყო გადაქცეული, ეს ლმობიერი და აზრიანი თვალები კი უფრო უბრწყინავენ.

— მოხვედ, ბიჭო! შეჰკნაწვლა სიხარულით ნალიტამ და ხელი გაუწოდა.


ფეთებამ რომ დახედა დამდნარ მეგობარს და იგრძნო გამხმარი ცხელი ხელის შეხება, სიბრალოლით აივსო, თვალში ცრემლი მოერიო. უნდოდა ენუკეშებინა ავთმყოფი, მაგრამ გული ყელში მოეხჯინა და სიტყვა შეუხუთა, ნალიტა კი შეჰსურებდა იმას სიყვარულით, რადგან ახლა ამ მეგობარში განაოციელებულიყო იმისი ნათესავ-მოკეთე.

ფეთება რომ თვალცრემლიანი დაბრუნდა ოთახში, ამხანაგები შემოეხვივნენ და უკვირდით: ამ ბიჭს რა დაჰმართია ისეთი, რომ ცრემლიც კი მოჰრევიო: იმათ ფეთებას თვალზე ამის მეტათ არ ენახათ ცრემლი.

გ. ბაჭნოვი.



## კეტიკი.




ედილო! დღეს მეღანი ერთიანათ გამოქელია და სვალ, თუ მეღნის საუიდლათ ფული არ მომეცი, სკოლაში წერას მოვცდებიო!.. უთხრა ახლათ დაობლებულმა დათამ ძაძა-მოსილ დედან.

„რა ვქნა, შვილო, ახლა ფული ერთი კაზეიკიც არა მაქვს; დღეს, თუ რაზე გამაჩნდა, სოფლის მოსეღე ჩამომიდგა და იმან გამომართვა. სვალ უეჭველათ კვერცხის მუშტარი ჩამოივლის, ორმაცოდე კვერცხს მიავიდი, და მერე, შენ არ მოუკვდე დედას, არა მოგაკლო რა; რაც დაგჭირდება, ეველაფერს გიყიდიო!“ ცრემლიანი თვალებით უთხრა დედამ შვილს და ალერსით გადუსვა თავზე სელი.

„სვალ რაღა ვქნა, დედიკო?“ ჭკითხა ისევ შვილმა.

„სვალ, შემოგეულე, ამხანაგს თხოვე ორი წვეთი მეღანი!“





„ამხანაგი რომ კარგი ხასიათის მიჯდეს გვერდზე კარგი და კეთილი, მაგრამ ზეტრე მისთანა უკარებელია, რომ მისგან არას დროს ხელის გამართვა და შემწეობა არ შეიძლება. სხვას თუ რამე დაუნახა ხელში, მთავარი სული წაუგა, სანამ არ გამოგლეჯავს ხელიდან; მისგან კი ისე არა გამოდნება რა, როგორათაც ქვისგან ხეთიო!“ მიუგო დათამ დედას ნაღვლიანათ.

— სხვას ვისმე მიმართე, შვილო, განა ზეტრეს მეტი არა-ვინა ზის შენს ახლოს, რომელსაც ამხანაგობა ესმოდეს, ან ობლობით შეგიბრალოს, მცირე რამეზე ხელი გაგიწეოს და ხვალ მასწავლებელთან ჰირნათლათ გამოგიყვანოს?..“ განუძეოდა დედამ...

რალა გზა იყო მეტი, რაკი დარწმუნდა დათა, რომ იმის დედას იმ ქაშათ არაფითარი სახსარი არ მოეპოვებოდა, თაჳი დახება დედის ხვეწნა-მუდარას.

დათა დილით ადრე ადგა, ხელ-პირი ცივი, ანკარა-წეაროს წულთ დაიბანა; ხელ-პირის გამშრალებასა და თმის ლამაზათ დაკარცხნას შემდეგ, რამდენჯერმე ხატის წინ ჰირჯვარი გადიწერა, დედისაგან საუხმეთ მჭადის ნატყესი მიიღო, საწიგნე ბოხხა მხარზე გადიგლო და საჩქაროთ სკოლისაკენ გასწია. დათას სახლიდან სკოლამდის ორი ვერსის მანძილი იყო, მაგრამ ისე ძაღე გაიბინა, რომ ათ წამს უკან სკოლაში თავის სკამზე იჯდა ზეტრეს გვერდით... ორი გაკეთილი უკვე დასრულდა. და-

თამ გაკვეთილების შეენიერათ მიკვებით მასწავლებელი ჩვეულებრივად განხარბა. მესამე გაკვეთილი მასწავლებელმა წერით დაიწყო. უველა მოსწავლეებმა მასწავლებლის ჩვენებისა და დარჩეებისამებრ დაიწვეს წერა. მათშორის არ წერდა მხოლოდ ერთი დათა: თუძცაღა რვეული გადაშალა, კალამი ხელში აიღო, მაგრამ, რადგან მელანი არ ჰქონდა, ჯაფრიანათ აქეთ-იქით იცქირებოდა. იმის ამხანაკ ჰეტრეს მარჯვენა ხელში კალამი ეჭირა, მარცხენა ხელში მელნით სავსე, თავ დაცობილი, საწერელი, რომელიც შიშით მაგიდაზე ვერ დაედო, რადგან ეშინოდა რომ რომელსამე ამხანაკს მისდა უნებურათ, მიჯარვით მელანში კალამი არ ჩაეწო. როცა თვითონ დასჭირდებოდა მელანში კალამის ჩაწება, კალამის ტარს კბილით დაიჭერდა, საწერელს თავს მოხდიდა, კალამს ჩაუწებდა, მერე ისევ დაუცობდა და იწებდა წერას. ამ ცოდვილში ხელის თითები სულ მელანში დაესვარა, ხოლო თითებისგან რვეული სულ მთლათ გაეთხუზნა. მაგრამ, რადგან თავის გულის წადილს ისრულებდა, ეს არაფრათ მიაჩნდა. დათა, თუძცაღა დარწმუნებული იყო, რომ ჰეტრესგან ხეირი არ იქმნებოდა, მაგრამ რაკი მეტი გზა არ ჰქონდა, დაღრეჯით შევედრა ისევ ჰეტრეს: „ჰეტრე, თუ ძმა ხარ, ერთი კალამი ჩამაწებინე მელანში!“

— რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი?!“ შემოუბღვირა ჰეტრემ.

„ერთ წვეთ მელანს გთხოვ, რა დიდი საქმეა, შე კაი კაცო!“

— თუ დიდი საქმე არ არის, რატომ არა გაქვს?!“.

ნიშნის მოგებით ჰკითხა ჰეტრემ.

„ხვალ მექნება მეც და, რამდენიც გინდა, იმდენი იმ-მარე!“ უთხრა დათან.

— არც შენი მინდა და არც ჩემსას მოგცემ; მოძალე სომ არა ხარ, რას გადასკიდებინარ?..“

— „მოძალე კი არა ვარ მარა, გთხოვ როგორც ამ-ხანაკს, მასწავლებლისგან წეროდას ნუ მიძალებინებ!.. არ გახსოვს, რა წავუკითხეთ გუშინ?... „მთა მთას არ მოხვ-დება, თორემ კაცი კაცს ყოველთვის დასჭირდებაო!.. მეც შემძლია ჰატივის ცემა!... გამიწევე ხელი დედა და მამა ნუ მოგიკვდება!“

„მოიტა კალამი!“ უთხრა გულმოსულათ ჰეტრემ და-თან და გამოთხლა კალმის ტარი ხელიდან. დათან თვა-ლებმა გაუცინა, რადგან ფიქრობდა, რომ მასწავლებლის ჩამოვლამდის და რკეულის დათვალიერებამდის, ორ-სამ სიტყვას მანც დასწერდა. მაგრამ იმედმა უმტეუნა საბრა-ლოს: ჰეტრემ მისი კალამი, რაც ძალი ჰქონდა, იატაკზე გადისროლა! კალამი იატაკში ჩაერჭო და გადატედა; მა-გრამ ამავე დროს თვით ჰეტრეს მეორე ხელიდან სამეღ-ნე გაუვარდა, იატაკზე დაერეხვა და დაიმსხვრა. დათა გა-ბეძდა, ჰეტრე დამტვრეულ სამეღნეს ნაღვლიანათ დასცქე-

როდა, ხოლო ირგვლივ მოსწავლეებმა სიცილი იწვეს. მასწავლებელმა, რომელიც ამ დროს სხვა განყოფილებაში რვეულებს ათვალიერებდა, ხმაურობასე თავი მალდა აიღო და, იატაკი რომ გასწორილი დაინახა, მიზეზი გამოიკითხა. ერთმა მოწაფეთაგანმა აუხსნა მას, რაც მოხდა დათასა და ჰეტრეს შორის... მასწავლებელმა ჰეტრე მაშინვე ფეხზე გაჩერა და ამ სიტყვებით მიმართა მას: „შე სამაგელო, შენი ღარიბი ამხანაგისათვის რომ ორი წვეთი მეღანი მიგემაღლებინა, ის არ ჯობდა ამდენი მეღნის დაღვრას? ახლა, ხომ გეყოფა სირცხვილათ, რომ თვითონ გადიქეცი სამათხოვროთო!“. მერე დათას ცარიელი სამეღნე გამოართვა, თახჩიდან ჩამოიღო მეღანი და დათას საწერელი მეღნით აუფსო, თანაც ახალი კალამი აჩუქა და ასე დაარცხა: „დათა, ნუ მიაქცევ ეურბდლებას ჰეტრეს უსაქციელობას; ეს, ჩემგან ნაჩუქარი მეღანი, სანამ არ გამოგელიოს, მაგასაც ახარჯე, და რაც შეგეკლოს, სხვაფერბთაც უმეგობრეო!“. ცოტა ხანს შემდეგ დათა და ჰეტრე ერთათ ისხდენ და ერთი საწერლიდან ხმარობდენ მეღანს... მთელი ის დღე ჰეტრე სირცხვილისაგან იწოდა და თვალები ცრემლებით ევსებოდა... ამ კარემობას შემდეგ ჰეტრე ძალიან დაუმეგობრდა დათას...

## ია და ეკალა.



რთ მიყრტეებულ ლელის პირს  
 ბუჩქებში ია კვნესოდა;  
 გულშემზარავი ეს კვნესა  
 მხოლოთ ეკალას ესმოდა.

ეკალამ უთხრა: „ძმობილო,  
 რასა კვლოვ, რათა ტირილ,  
 ნუ თუ იმას რომ ბუნებამ,  
 შენზე იცვალა პირიო?“.

იამ მიუგო: „ერთი მხრით  
 ეგვც მაქვს სადარდელოთო,

მაგრამ უფრო კი მას ვჯავრობ,  
 რომ არ ვიზრდები ველოთო.

ზემოდან ბუჩქი ზრდას მიშლის  
 და გარს მიბერავს ქარ-სუსხი,

თავ ჩალუნული ვწუწუნებ,  
 ვით ასი წლისა მოხუცი;

ბევრჯელაც ვცადე ადგომა,  
 ვერ გავიმართე წელშია...

როდის მომივა ზაფხული,  
 ყარ ამის სანატრელშია!



საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს

## პატარა ურია.

ტყეო ბაში.



უთასი წლის წინეთ, ქრისტეს და-  
ბადებადის ურიების ქვეყნას ძრეელ  
დიდი უბედურება ეწია. იმ დროს ბა-  
ბილონის ქვეყანაში ერთი გამოჩენილი  
მეფე იყო, ან მეფეს ნაბუქოდონოსორი ერქვა. ეს მეფე  
ბევრჯელ შეესია ურიების ქვეყნას და აიკლო, მაგრამ  
ურიები მანც არ ემორჩილებოდენ და ძრეელ აჯაჯრებ-  
დენ. ბოლოს ნაბუქოდონოსორ მეფემ მოთმინება დაჰკარ-  
გა, ხელ-ახლა გაილაშქრა ებრაელებზე; იერუსალიმის ქა-  
ლაქი სულ ერთიანათ დააქცია, მათი შვენიერი ტაძარი  
დასწვა, რაც ტაძარში რამ ძვირფასი იყო, სულ ერთიანათ  
წაიღო, მათი მეფე ტყვეთ წაიყვანა და თვით ხალხიც ბა-  
ბილონის ქვეყანაში გადაასახლა.

ტყვეთა შორის ემაწვილებიც ბევრი იყვნ. გავიდა  
დრო. მეფემ ურიებზე გული მოიბრუნა და ბრძანება გა-  
მოსცა: ააწიეთ ურიების დიდი კაცის შვილები და სასა-  
ხლის სკოლაში მიეცით, რომ ისწავლინ და მერმე სახელ-  
მწიფო სამსახურისთვის გამოდგენო. მეფის ბრძანება აღა-  
სრულეს. იმ ემაწვილებთა შორის, რომლებიც სკოლაში



მიაბარეს, ერთი საკვირველი ემაწვილი აღმოჩნდა, რომელსაც დანიელ ერქვა. მან თავისი ნიჭი სკოლაშივე გამოიჩინა.

იმ სკოლის ემაწვილებს, სადაც ჰატარა დანიელი სწავლობდა, მეფის ბრძანებით, საჭმელ-სასმელს თვით მეფის სასახლიდან აძლევდნენ. მაგრამ ბევრს ისეთ საჭმელებს აძლევდნენ ემაწვილებს, რომლებიც ურების რჯულით აღკრძალული იყო. დანიელს, თუმიცა ჯერ ჰატარა იყო, მაგრამ იმდენი კი ესმოდა, რომ იმ საჭმელების ჭამა მისთვის ცოდვა იქნებოდა. არ იცოდა რა უნდა ექმნა. ბოლოს ადგა და ურჩია სამ თავის ამხანაგს, ურის ბავშებს, ახანას, აჩარის და მისაილს: მოდით შევეხვეწოთ სკოლის უფროსს, ნება მოგვცეს მარტო ჰური და წვანილი ვჭამოთ და ძალას ნუ დაგვატანს იმათი საჭმელები ვინძაროთო. ამხანაგებიც დათანხმდნენ. მივიდნენ და განუცხადეს თავისი თხოვნა სკოლის უფროსს. უფროსს შეეშინდა, ვაბი თუ ასეთმა უბრალო საჭმელმა გავნოთ, ვაბთ განდეთ, მეფე კარისხდესო და ამიტომ უარზე იდგა. დანიელმა და მისმა ამხანაგებმა ათი დღის ვადა დაუნძინეს და შეეხვეწენ, გამოგვცადე და, თუ განდეთ, მაშინ თქვენ ნებაზე გავივლითო. უფროსი დათანხმდა. ვადა რო გავიდა, უფროსმა დაინახა, რომ დანიელი და მისი ამხანაგები არა თუ განდნენ, სხვა ამხანაგებს კიდევ სჯობდნენ ჯანის სიმთელით და სილამაზით. ამას კარდა სწავლა-

შიაც ეველას სჯობდენ. ამიტომ უფროსმა ნება დართო მათ, თავისი რჯული მტკიცეთ დაეცვათ.

ამას კარდა, თუძცა სკოლაში სწავლა ბაბილონელთა ენაზე იყო, მაგრამ დანიელი და მისი მეგობრები თავის სწავარელ დედა-ენას ბეჯითათ სწავლობდენ და სამშობლოს არ ივიწყებდენ. ერთი სიტყვით, ისინი ეველაფერში ბეჯითი და ყოჩადი იუვენ და ეველა მასწავლებლებს აკვირებდენ.

როცა სწავლა დაამთავრეს, ისინი წარუდგინეს თვით მეფეს, მის წინაშე გამოსცადეს და აღმოჩნდა, რომ დანიელი და მისი სამი ამხანაგი ეველა მოწაფეებსე ბევრათ უფრო ყოჩადები იუვენ. მეფეს მოეწონა მათი ცოდნა და ბრძანა, კარგი ადგილები მიეცათ მათთვის სახელმწიფო სამსახურში.



მეფის სიზმრები და დანიელის  
ამაღლება.

**მ**იდი ხანი არ გასულა ამას შემდეგ, რომ ნაბუქოდონოსორ მეფემ ერთი საკვირველი სიზმარი ნახა. შიშისკან შეკრთა, გამოედვიმა და სიზმარიც დაავიწედა. მეორე დღეს მეფემ დაიბარა ვინც კი გამოჩენილი მოკვი ანუ მეცნიერი ჰქავდა და გამოუცხადა, უკეთუ არ მიხვდით, რა სიზმარი ვნახე და ან რას მოახწავებს ჩემი



სიზმარი, უველას თავებს დაგაურევინებთო. რასაკვირველია ვერაუინ ვერ მისვდა მის სიზმარს, მეფე გარისხდა და ბრძანა, უველანი დაესოცათ.

დანიელმა რომ ეს ამბავი გაიგო, თხოვა მეფის ვეზირებს, ცოტა დრო მიეცათ მისთვის. მათ აღუსრულეს თხოვნა. ის დაბრუნდა სასლში და გულმოდგინეთ დაიწყო ლოცვა. ღმერთმა უსმინა ვედრება და იმავე ღამეს ამცნო ეოველი-ვე. დილით დანიელ წარსდგა მეფის წინაშე და მოახსენა:

— შენ ნახე, მეფეო, სიზმარში უზარმაზარი ადამიანის სხეული, რომელსაც თავი წმინდა ოქროსი ჰქონდა, გულ-მკერდი და მკლავები ვერცხლისა, მუცელი და კვერდები სწილენძისა, წვივები რკინისა, ხოლო ფეხები რკინისა და თიხისა არეული. ამას გარდა გეზმანა, რომ კლდეს მოეკლეჯა თავის-თავათ ქვა, დაეჯახა იმ სხეულს ფეხებში და სულ ერთიანათ შემუსრა, ხოლო თვით ქვა იგი გაიზარდა და ისეთ დიდ მთათ იქცა, რომ მთელი ქვეყანა დაიჭირა. თვით ეგ შენი სიზმარი აი რას მოახწავებს. თავი ოქროსი თვით შენახარ და შენს მეფობას ნიშნავს. შენს შემდეგ გაზნდება ახალი სამეფო, რომელიც ღირსებით შენ სამეფოზე დაბალი იქნება; შემდეგ იქნება კიდევ ახალი სამე-

ყო ძლიერი, რომელიც მთელ ქვეყანას დაიპყრობს. ხოლო მეოთხე სამეფო იქნება ისეთი ძრეული, რომ ეოველსავეს შემუსრავს და სუფევა მისი იქნება სამარადისო.

მეოთხე რა ეს მოისძინა, თავიანი სცა დანიელს და უთხრა: „ჭეშმარიტათ, ღმერთი შენი არს უმაღლეს ეოველთა ღმერთთა და მცნობელი ეოველთა საიდუმლოთა“. შემდეგ ამისა მან დანიშნა დანიელი მთელი ბაბილონის მთავრათ და ეველა ბრძენების უფროსათ. ამგვარათ ამაღლდა დანიელი და დაადგინა იგი უფალმა წინასწარ-მეტყველათ.

ეოველივე ეს ასე მოხდა, მაგრამ ნაბუქოდონოსორმა არ მოიძალა მანც ამჰარტაუნება და კერპების თავიანისცემა. ამიტომ ღმერთმა საძინლათ დასაჯა. ერთხელ ნასა სიზმარი: ვითომც ერთი უზარმაზარი ხე იდგა, რომელიც ცამდის ასულიყო. მის ქვეშ ჩრდილობდენ მრავალნი ცხოველნი, ხოლო თვით ხესე ბუდობდენ ფრინველნი ცისანი. ამ დროს ერთბაშათ მოისმა ზეციდან ხმა უფლისა: „მოსჭერით ხე ესე, მაგრამ ძირი მისი დატოვეთ მიწაში, რათა შებორკილ ჯაჭვითა ჰსველდებოდეს ცვარით და მხეცთანა ველისათა ჰქონდეს მაკას ბინა. — წაერთვას მას გონება კაცისა და მიეცეს გონება ჰირუტუვისა, მინამ შესრულდებოდეს წელი შვიდი, რათა ჰსცნან მცხოვრებთა




ქვეყნისათა, რომ სამეფოთა ქვეყანისათა განაგებს მეფე  
 "სეციერი".

შეკრიბეს მრავალი ბრძენნი, მაგრამ ვერავინ ვერ აუ-  
 ხსნა მეფეს ეს სიზმარი. მაშინ დაიბარა დანიელ წინას-  
 წარ-მეტყველი, რომელმაც მოახსენა: „აი რას მოასწავებს,  
 მეფეო, შენი სიზმარი. ის ხე თვითონ შენა ხარ, რადგა-  
 ნაც დიდება შენი აღწეულ არს ცაშიდის. შენ დაკარგავ,  
 ღვთის ბრძანებით, ადამიანის გონებას, მოძორდები კაცთა  
 და როგორც მხეცი, ისე იცხოვრებ, მაგრამ სამეფო შენი  
 არ წაგერთმევა და, შვიდ წელს შემდეგ, კვლავ დაგიბრუნ-  
 დება როგორც გონება, ისე სამეფო“.

ყოველივე თქმული დანიელისაგან აღსრულდა. ერთ-  
 ხელ ნაბუქოდონოსორი დასეირნობდა თვის სასახლეში,  
 გადახედა ბაბილონის ქალაქს და თქვა: „აი ქალაქი ესე,  
 რომელიც ავაგე სადიდებელათ ჩემდა!“ ესა თქვა თუ არა,  
 ხელახლათ მოესმა ხმა, რომელიც სიზმარში ნახა. იმ  
 წამსვე დაკარგა გონება და კაცოდა. შემოჭეს ჯაჭვით და  
 მოაძორეს ხალხს. ისე იქცეოდა და ცხოვრობდა, რო-  
 გორც მხეცი. ასე იტანჯებოდა შვიდ წელს. შემდეგ მორ-  
 ჩა, ისევ დაუბრუნდა გონება, ღმერთი აღიდა და ხელ-ახ-  
 ლათ იწყო მეფობა. ამას შემდეგ გამოაცხადა ის სასწაუ-

ლი, რომელიც აღსრულდა მას-ზედა ღვთის განგებით და დანიელიც კიდევ უფრო აამაღლა.



დანიელი და ველიზარ მეფის სიზმარი.

ნაბუქოდნოსორ მეფის შემდეგ გამეფდა მე მისი ველიზარი. თუცა მამა მისი ისე დასაჯა ღმერთმა, მაგრამ ის კიდევ უფრო ცუდათ იქცეოდა. ამიტომ იმასაც ცუდი საქმე დაეძარტა.

ერთხელ მან გამართა დიდი ღვინის და მიწვინათვის დიდებულნი. ქეიფის დროს, როცა დაითვრენ, მეფემ ბრძანა, მოძარტვით ჭურჭელნი იერუსალიმის ტაძრისაო. ძიარტვეს; აავსეს ღვინით და იწეეს სძა, თან აღიდებდნათვის კერძებს. მეფეს ჰსურდა დაემტკიცებია ვეკლასთვის, რომ მას სრულიადც არ ეშინოდა ჭეშმარიტი ღმერთისა. მაგრამ ამ დროს მოულოდნელათ გაჩნდა იქ ადამიანის ხელი და დასწერა მეფის წინ კედელზე რაღაც გაუგებარი სანი სიტყვა. მეფე აკანკალდა შიშით, წაუვიდა ფერი და სძა მადლა ბრძანა: „მომკვარეთ ბრძენნი მკითხავნიო“. მოჰკვარეს, მაგრამ კერავინ ვერ წაიკითხა და ვერც მისე-

და, რა იყო დაწერილი კედელზე, ამ დროს მეფის დედანს მოაკონდა დანიელი და უთხრა შვილს: „შვილო! შენს სამეფოში იმეოფება კაცი, რომელშიაც სუფევს სული წმიდა. მას ჰქვია დანიელ; დაიბარე და ის გამოიცნობს უველბაფერს“.

მართლაც გაგზავნეს კაცი და მოიუვანეს დანიელი. როცა ის მეფის წინაშე წარდგა, მეფემ უთხრა: „უკეთუ ამ დაწერილ სიტყვებს წაიკითხავ და მათ მნიშვნელობას შეტყაობ, შეგმოსავ მეფურ ტანისამოსით და ოქროს ძეწკვს დაგკიდებ“.

დანიელმა მოახსენა მეფეს: „ჯილდო თქვენი ჩემთვის საჭირო არ გახლავს; დაწერილს კი უმიხსოვარა აგისხნი, ღვთის შეწევნით. შენ, თუმც იცოდი, რა უყო ღმერთმა მამა შენს, მაგრამ მაინც არ მოიდრეკე თავი ზეცვიერი ღვთის წინაშე: მოითხოვე წმიდა ტაძრის ჭურჭელნი, ღვინის სასმელათ იხმარე და ამკვარათ შებილწე ივინი. ამიტომ ღმერთმა მოავლინა ხელი, რომელსაც დაუწერია: მ ე ნ ე, ფ ე ვ ე ლ, ჰ ე რ ე ს. აი ამ სიტყვების მნიშვნელობა. სიტყვა მ ე ნ ე ნიშნავს, რომ სამეფო შენი უფალმა აღრიცხა და დასდო დასასრული მისი, ფ ე ვ ე ლ — შენ ავწონა ღმერთმა და გპოვა არა საკმაოთ. — ჰ ე რ ე ს — სამეფო შენი განიოფის და მიეცემის სპარსთა და მიდიელთა“.

დანიელის სიტყვა ძალე ასრულდა. ბაბილონს დაუცენ სპარსელები და მიდიელები, აიკლეს ქალაქი, თვით

საქართველოს  
საბჭოთაო  
საგარეო  
აღმსრებელი  
ბიუროს  
გამომცემი

მეფეც მოჰკლეს და მის ნაცვლათ ავიდა ტახტზე დარ-  
ოს მიდიელი.

დანეილის ჩავდება ლომების ორმოში.



დარიოს მეფე ძრეულ ჰატარას სცემდა დანიელს.  
მან გაჭყო მთელი თავისი სამეფო ასოც ნაწი-  
ლათ და დანიშნა ასოცი მთავარი, ამ ასოც მთა-  
ვარს დაუნიშნა სამი უფროსი. ერთი მათგანი იყო დანი-  
ელი. მაგრამ მეფეს განზრახვა ჰქონდა, ეგელა მთავრების  
უფროსათ დანიელი დაენიშნა. ეს ძრეულ ეწეინათ სხვა  
მთავრებს და მონდომეს დანიელის დაღუპვა.

ერთსეულ შეჰკრეს მათ ჰირობა, მივიდენ მეფესთან და  
მოასსენეს: „უკეთუ გნებავთ გაიგოთ ვინ არის თქვენი ძორ-  
ჩილი და ერთგული, ბრძანეთ რომ ოცდა ათი დღის გან-  
მავლობაში არავინ არა სთხოვოს არაფერი, თქვენს გარდა,  
არც ღმერთს და არც კაცს; ხოლო ვინც ამ ბრძანებას არ  
ადასრულებს, იგი გადაუგდოთ ლომებს ორმოში. მათ იცო-  
დენ, რომ დანიელი დღეში სამჯერ ლოცულობდა და მე-  
ფის ბრძანებას ვერ ადასრულებდა. მეფემ არ იცოდა მთა-  
ვრების ეშმაკობა და ამიტომ დათანხმდა და გამოსცა ბძა-  
ნება. დანიელი მინც დღეში სამჯერ ლოცულობდა.  
მისმა მტრებმა ეს ამბავი საჩქაროთ შეატყობინეს მეფეს.  
დარიოსს ძრეულ ეწეინა, მაგრამ რას იზამდა. მოწოდეს  
დანიელს სამეფო სამსჯავროში. თვით მეფეს არ უნდოდა  
მისი სიკვდილი, მაგრამ მეფის სიტუვის გატყუა შეუძლე-  
ბელი იყო. როცა დანიელი მიჰყავდათ ორმოში ჩასა-



გდებათ, მეფემ უთხრა: „იქნება ღმერთმა, რომელსაც შენ თაყვანსა სცემ, გიხსნას განსაცდელისაგან“.

დილით, როგორც კი გათენდა, მეფე გაემშურა ორმო-საკენ. როცა მივიდა, ხმა მალა დაუძახა დანიელს: „დანიელ, მონა ღვთისაო, გიხსნა თუ არა ღმერთმა შენმა?“ ორმოდან მოესმა მეფეს: „ღმერთმა ჩემმა მოავლინა ანკელოზი თვისი, შეუკრა ლომთა ჰირი და მათ ხელიც ვერ მახლეს მე“. მეფეს ძრეულ იაძა და ბრძანა საჩქაროთ ამოეყვანათ დანიელი. მის ნაცვლათ, მეფის ბრძანებით, მისი ძტრები ჩაუკდეს ლომებს ორმოში. ლომებმა არც კი აცაღეს მათ ძირს დაუარდნა, ისე ეცენ და დაჭკლიჯეს.

მაშინ მეფე დარბოხდა გაძოსცა ბრძანება: „მთელ ჩემ სამეფოში ვუკლას ემინოდეს იმ ღმერთისა, რომელსაც დანიელი ადიდებს, რადგანაც იგია უფალი ცხოველი და უკვდავი, და სამეფოსა მისსა უკუნისამდე არა აქვს დასასრული“.

შემდეგ ამისა დანიელი კიდევ უფრო აამაღლა მეფემ და დიდ ჰატოვისცემაში ჭეაჟდა, მაგრამ თავისი საკუთარი ბედნიერება არ ახარებდა დანიელს, რადგანაც მისი მოძმენი ტუვეთ იუვენ სხვის ხელში და ჯერ ხსნა არსაით იყო. იგი ხშირათ ფიქრობდა იმაზე, თუ როდის მოვიდოდა აღთქმული მაცხოვარი და იხსნიდა ხალხს ტანჯვისაგან. უფალმა, ძარტლა, ამცნო მას ზედ-მიწევნით ის დრო, როცა ქრისტე უნდა მობილიყო, ესე იგი იმ დროდამ 490 წელს შემდეგ. — ეს წინასწარმეტყველება დანიელისა ნამდვილათ ასრულდა


## კატის ჭკუა-გონება.



ბატა—ბუნებისაგან უხვათ დაჯილდოვებული ცხოველია. ჯერ მარტო გარეკან შეხედულობაზედაც ეტყობა, რომ სხვა ოთხფეხთა შორის მას უპირატესობა აქვს მინიჭებული; ის ნამდვილი პატარა, ლამაზი და მოხერხებული ფეხვია; მისი სიარული, თავის აქეთ-აქით მობრუნება, ყველა მისი მიხერა-მოხერა ადამიანის თვალს იტაცებს თავის სინაზით და სიკეკლუცით; გეგონებათ, ძელები სულ არა აქვს, მარტო რაღაც ჰეროვანი ნიეთიერებისაგან შედგება მისი სხეულიო.

რა მოხერხებით გადატრიალდება ხოლმე ჰაერში და, რა სიმაღლიდანაც უნდა გადმოავდეთ, მაინც თავის ღონიერ პატარა თათებზე დახტება! რა მაგრათ ჩაებლაუჭება ხოლმე ხის ტოტებს და რაც უნდა ანძრიოთ და არხიოთ ხე—ყოჩახათ შერჩება ზეც! რამსიშორეს შეუძლია გადახტომა ერთი ნახტომით და რამდენჯერ გაიმეორებს ხოლმე ერთსა და იმავე ნახტომს, თუ პირველათვე კარგათ ვერ მოუყიდა!

კატამ ძალიან იცის ადგილის შეჩვევა. როცა მისი პატრონები სხვა სახლში გადადიან, კატა ან ძველ სახლში რჩება, ან მერე ბრუნდება იქ. თავის უწინდელ ბინას მაშინაც კი იზოვნის, თაფმოკრულ ტომარაში რომ ჩასვან და თუნდ ათ ვერსის სიშორეზე წაიყვანონ. სულ სხვა არის, თუ კატას პატრონები ძალიან ეფერებიან და კარგათ მოვლილი ჰყავთ. მაშინ კატა სიამოვნებით გადაჰყვება პატრონს ერთი ადგილიდან მეორეზე და ფიქრათაც არ მოუვა მისი შიტოვება და შეჩვეულ სადგომში დარჩენა. ზოგი კატები ადამიანს ისე შეეჩვევიან, რომ პატარა ლეკვსავეთ სულ უკან დასდევენ. კატამ სხვა ცხოველებთან დამეგობრებაც იცის; ერთი კატა ისე დაუმეგობ-



ბრდა ძალს, რომ თავს ბედნიერთ მართო მაშინ გრძნობდა, როცა ძალლი კისერში პირს წაეღებდა და ოთახებში დაუწყებდა ტარებას; მეორე კატა ყოველთვის გამოექომაგებოდა ხოლმე თავის მეგობარ ძალს, როდესაც ის სხვა ძალებს წაეჩნებებოდა, სამაგიეროთ, როცა კატებს ჩხუბს აუტეხდა, შეელა მასეე თხოვდა.

თავმოყვარეობა კატას ძალიან ცოტა აქვს: რაც უნდა გაუწყურეთ, კიდევ რომ გალახათ, ერთს შეიფერთხება და ვითომც აქ არაფერაო, ისეე თქვენ მოგადგებათ. სამაგიეროთ თუ აქეთ, ეს დიდხანს ახსოვს; თუ ერთხელ მოუწონეთ სიყოჩაღე თავის დაჭერაში, მერევ ყოველთვის მოიტანს ხოლმე დაჭერილ თავს და წინ დაგიდგებათ, ამაყოფს სიყოჩალით და ისეე ქებას მოეღის.

საკერველი გამბედავი კი არის კატა: რაც უნდა დიდ ძალებთან მოუყიდეს უსიამოვნება, არ შედრკება და ჩხუბს არ გაექცევა; თუ ძალებმა გაბედა და მის კნუტებს მიუახლოვდა, კატა მაშინვე მგარდება, ერთი ნახტომით თავზე დაახტება და ცდილობს თვალები გამოაკაწროს. ათი ძალლი რომ შემოეხეიოს, არ გაიქცევა; მხოლოთ ცდილობს, ისეთ ადგილს მიიკრუნჩხოს, რომ ძალლი უკანიდან ვერ მიეპაროს, თუ ზურგი დაფარული აქვს, სხვის არაფრის ეშინია. გამოუშვებს კლანჭებს და მარჯვნით და მარცხნით სილებით უმასპინძლებს მტრებს. თუ ახლო-მანლო ან ხე, ან რამე მაღალი საგანია, მაშინ კი უცებ ახტება ზედ. იქიდან დაცინვით გადმოჰყურებს შერცხენილ მოწინააღმდეგეებს.

კატის ერთი შესანიშნავი თვისება—მისი სისუფთავეა. ერთ თინჩხა ტალახს არ დაიყენებს ტანზე, თუ ერთ ვერ მიწედა, თათს გაილოკავს და იმითი მოიწმენდს; ასე სუფთათ ინახავს თავის კნუტებსაც და დაუღალაეთ ლოკავს და ჰბანს მათ დილიდან საღამომდის. ზოგმა კატამ არ იცის, როგორ მოექცეს თავის პირველ კნუტებს; მაშინ ან ადამიანმა, ან ბებერმა კატამ უნდა ასწავლოს და შეაჩვიოს. ერთი ახალგაზდა კატა, თავს რომ დაიჭერდა, სულ კუდით ათრედა ხოლმე. პირველათ კნუტები რომ ეყოლა, გადაწყვი-

ტა, ისინიც ასე ეთრია; კნუტებს ეს არ მოეწონათ, ყოველთვის გულსაკლავათ აქნავლდებოდნენ ხოლმე და მიწას ებლაუჭებოდნენ. ეს კატის პატრონმა შენიშნა და ასწავლა კატას, როგორ უნდა გადაიყვანოს კნუტები ერთი ადგილიდან მეორეზე; მას შემდეგ კატა ნაზათ მოჰკიდებდა თავის შვილებს კბილს კისერში და ისე ატარებდა.

კატა საშინელი გულმტკიენიულია, განსაკუთრებით, როცა კნუტები ჰყავს; ის მზათ არის, თავის ძუძუ პატარა ლეკვებს, კურღლებს, ვირთხებს და ხან-და-ხან თავებსაც კი აწოვოს. ერთხელ ერთმა ბავშვმა კატის კნუტებში პატარა ჯერ თვალ აუხელოელი თრითინა ჩაურია; კატამ სიყვარულით მიიღო ეს ახალი შვილი და მასაც ისე უყლიდა, ისიც ისე გამოზარდა, როგორც თავის საკუთრება. კატის კნუტები, წამოიზარდნენ თუ არა, იქით-აქეთ გააჩუქეს; მაშინ მთელი თავისი სიყვარული კატამ თრითინაზე გადაიტანა; ისინი ერთმანეთს ერთი წამითაც აღარ შორდებოდნენ და საუცხოვოთ ესმოდათ ერთმანეთის ენა. მალე კატამ თავის შვილობილს ბაღში დააწყებინა სეირნობა; აქ კი სასაცილო ამბები, მოხდებოდა ხოლმე; თრითინა მარდათ აცუნცულდებოდა ხოლმე ხეზე და დაიწყებდა ერთი ტოტიდან მეორეზე ხტუნვას, კატა შიშით დასდევდა უკან, არ გაღმოვარდესო, და ცდილობდა, ყოველგან მიჰყოლოდა; ეტყობოდა, ძალიან გაკვირვებული იყო, ასე ვინ ასწავლა ხეზე ხტუნვაო.

ჩიტების მოყვარულები ჩიტების მოელასაც კი შეაჩვევენ ხოლმე კატას. ერთ კაცს თავის საყვარელი გულწითელა დაეკარგა; ოთხდღეს იქით კატამ დაინახა ეს გულწითელა, რცნო, მიეპარა, დაიჭირა და სიხარულით მიუყვანა თავის პატრონს.

მეორე კატას დიდი მეგობრობა ჰქონდა თავის პატრონის იადონთან; ისინი ხშირათ თამაშობდნენ ხოლმე ერთათ; ერთხელ თამაშის დროს კატა უეცრათ ეტაკა იადონს, სტაცა პირი და მარდათ ავარდა სტოლზე; პატრონი იადონის გამოგლეჯას აპარებდა, ეგონა ეს არის შეჭამაო, მაგრამ ამ დროს დაინახა, რომ ოთახში ვილასიც



დიდი კატა შემოპარულიყო, თურმე კატას შეეშინდა, იმან მეგობარი არ შემიჭამოსო და საჩქაროთ აფარდა იადონიანა სტოლზე.

ერთი კატა და თუთიყუში პოლი ძალიან დამეგობრდნენ; ერთხელ მზარეულმა ცომი მოზილა და ცეცხლთან დადგა, თითონ კი გარეთ გამოვიდა. მალე მასთან კატამ მოიბოძინა; კატა საშინლათ კნაოდა და სულ კარებისკენ მიბზოდა, თან მზარეულს მიჩერებოდა, ეტყობოდა, ეპატიჟებოდა, თან გამომყევრო. მზარეულმა ყურადღება არ მიაქცია. მაშინ კატა ახტა, წინსაფარში (ფართუკში) პირი სტაცა და კარებისკენ წაათრია; მზარეული გაჰყვა; კატამ სამზარეულოში შეიყვანა; იქ მზარეულმა დაინახა თუთიყუში პოლი, რომელიც ცომში ჩაფლულიყო და საცოდავთ აფართხუნებდა ფრთებს. კატის წყალობით რომ თავის ღროზე არ მიესწროთ, საბრალო თუთიყუშს ცომი სულ ჩაითრეცდა და დაახრჩობდა.

მეორე კატა ხშირათ ჰხედავდა, რომ მათ სახლში პატარა ძაღლს ტკბილ საქმელებს მაშინ აჰმეცდნენ, როცა ის უკანა ფეხებზე წამოდებოდა და ისე ითხოვდა. მისგან მაგალითი კატამაც აიღო, უკანა ფეხებზე აღგომა და თხოვნა იმანაც ისწავლა, მაგრამ თუ არ შიოდა, ვერაფრით ვერ ათხოვნიებდნენ ვერაფერს.

როცა კატას რძე არა აქვს თავის კნუტებისთვის, ის ცდილობს მათი მოვლა სხვას დაახვიოს თავზე. ბრემი შემდეგს მოგვითხრობს; ჩვენ გვყავდა ერთი კატა, რომელსაც სამი კვირა იყო, კნუტები ჰყოლებოდა, მაგრამ ისე ჰყავდა გადამალული, რომ ვერავის ვერ მიეგნო. ერთხელ კატა შემოვიდა იმ ოთახში, სადაც ჩემი ღედ-მამა იჯდნენ და იპატიჟებდა მათ, თან მომყევითო; ისინი გაჰყვეს; კატამ საბძელში წაიყვანა, შეხტა საბძლის თავზე, გადმოაგდო იქიდან ბზეში ერთი კნუტი, მერე თითონ ჩამოხტა, აიყვანა და ღედა ჩემს მიუტანა, მერე ისევე ავიდა ზევით, მეორე კნუტი გადმოაგდო, იმასაც პირი სტაცა, მაგრამ ღედასთან მიყვანა დაეზარა, შუა გზაზე გაჩერდა და კნაილი დაიწყო, კამომართვით. ესეც გამოართვეს; მაშინ კატამ ორი დანარჩენი კნუტიც გადმოჰყარა ზევიდან და კნაილი დაიწყო,

მოდით და წაიყვანეთო; დედა ჩემი განგებ არ მიუახლოვდა, გამო-  
ბრუნდა და ვითომ წამოსვლას აპირობდა; მაშინ ზარმაცმა კატამ  
სტაცა პირი ორივე კნუტს და თითონვე მიუბრუნებინა დედას. თურმე  
იმ კატას რძე აღარ ჰქონია, ამისთვისაც ჩააბარა თავისი შვილები  
გამოსაკვებათ დედაჩემს“.

ხშირათ მომხდარა, რომ კატა თავის კნუტებს ჭკუის სწავლების  
დროს ძალიან სასტიკათ მოქცევია; ერთმა მოზღდილმა კნუტმა ერთ-  
ხელ ფანჯარაზე გალიით დაკიდებული იაღონებით პირის ჩაგემრიე-  
ლება მოინდომა; დედა მისი დიდი ხანი იყო შეჩვეული შინაურ  
ჩიტებს და არაოდეს მათ ხელს არ ახლებდა. სულ სხვა აზრის იყო  
ამის შესახებ მისი კნუტი; ორჯელ სამჯერ დააჭირეს პატრონებმა  
იმ წამს, როცა გალიაზე შეხტომას აპირებდა და დღე დაამწარეს; მის  
ჩხვილზე ყოველთვის დედა მოიბრუნდა ხოლმე და სიყვარულით  
ულოკავდა ნატკენ ადგილებს; ამის მერე თათონ დედამაც დაუშალა  
ჩიტების სიახლოვეს გავლა; კნუტი გაუგონარი გამოდგა, თავისას  
მანც არ იშლიდა; დედა თვალს არ აშორებდა და ახტებოდა თუ  
არა კნუტი სკამზე, რომ იქიდან გალიაზე გადამხტარიყო, კატაც მა-  
შინვე იქ გაჩნდებოდა და კაი კაი სილებს აჭმევდა. მაშინ კნუტმა  
სკამს თავი დაანება და ფანჯრის მეორე მხარეს დამდგარი მაგიდით  
ისარგებლა; კატამ ეს შენიშნა და შეხტა თუ არა კნუტი მაგიდაზე,  
უკან მიჰყვა და ისეთი შავი დღე დააყენა, რომ მას აქეთ კნუტმა  
სამუდამოთ დაანება თავი იაღონებზე ფიქრს.

მეორე კატამ ძალლიც კი გადააჩვია წუწკობას. ერთ ოჯახში  
ერთათ ცხოვრობდნენ ჭკვიანი და თავდაკავებული კატა და წუწკი და  
თევგასული ძალლი; როცა ოთახში არავინ ეგულებოდა, ძალლი  
სტოლზე შეხტებოდა ხოლმე და თუ რამე საჭმელს ნახებდა, კეთილს  
არ დააყრიდა; კატა ძალიან უკმაყოფილო თვალთ უყურებდა ყვე-  
ლა იმას; ბოლოს ვეღარ მოითმინა და ერთხელ, როცა ოთახში არა-  
ვინ იყო, ჩუმათ მიიმალა მაგიდის უკან; შეხტა თუ არა ძალლი სკა-  
მზე, რომ იქიდან მაგიდაზე გადამხტარიყო, კატა მაშინვე მის წინ გა-



ჩნდა და ისეთი სიღებები უთავაზა, რომ ქურღობა სამუდამოთ გადაეიწყო.

ერთ ინგლისურ ოჯახში ჩვეულებათ ჰქონდათ ყოველ დღე ხეივანში ფანჯრიდან პურის ნამცეცები გადაეყარათ; ამ გემრიელ საუზმის მისართმევით აუარებელი ბელურები მოფრინდებოდენ ხოლმე. კატამ ეს შენიშნა, ყოველთვის ჩირგეს უკან დაიმალებოდა ხოლმე და ბელურებზე ნადირობდა; ერთხელ ნასადილევს რაღაც მიზეზით ბელურები არ მოფრინდენ; იმ ღამეს თოვლი მოვიდა და ნამცეცებს გადაეფარა. მეორე დილას სახლის პატრონებმა ფანჯრიდან დაინახეს, რომ კატა თოვლს ქექდა; გაქექა თოვლი, გამოიღო ნამცეცები და თოვლზე დალაგა, მერე ჩირგეს უკან მიიმაღა და ბელურებს ლოდანი დაუწყო. მეორე კატა კი ღვე უფრო ჰკვიანურათ მოიქცა: როცა პურის ნამცეცების გადაყრა დაეიწყებოდათ, ის თითონ იშოვიდა სადმე რამოდენიმე პატარა ნატეხ პურს და თითონ დაყრიდა ხოლმე ბაღის რომელსამე ხეივანში ჩიტების მოსატყუებლათ.

კატები ხშირათ კარის გაღებასაც სწავლობენ ხოლმე; ისინი ახტებიან, მოეჭიდებიან კარის დასაჭერ „რუჩქას“ და ძირს სწევენ, უკანა ფეხებს კი კარის მეორე კედაროს მიაჭერენ. ინგლისში უწინ ზარების მაგიერათ სახლებში პატარა ჩაქუჩებს ხმარობდენ; ეს ჩაქუჩები ისე იყვენ გარედან კარზე მიმაგრებული, რომ თქვენსკენ რომ გამოგეწიათ და მერე ხელი გაგეშვათ, ჩაქუჩი კარს მიებრახუნებოდა და კარს გაგიღებდენ. კატები ძალიან ადვილათ ახერხებდენ ამ ჩაქუჩით დარახუნებას; ერთ სახლში ძალდი და კატა ცხოვრობდენ; კატა შეხტებოდა ხოლმე კარებზე, გამოასწევდა ჩაქუჩს და მერე თათს უშეებდა, ჩაქუჩი არახუნებდა და კატას კარს გაუღებდენ ხოლმე, ძალდმა კი ვერაფრით ვერ ისწავლა ასე მოქცევა. ამიტომ, როცა გარეთ იყო და სახლში შესვლა უნდოდა, ის ან კარებთან დატუცქვებოდა და იცდიდა, იქნება ვინმე სტუმარი მოვიდესო, ან და წავიდოდა, მოძებნიდა სადმე თავის მეგობარ კატას, მოიყვანდა კარებთან და დაარახუნებინებდა. ერთი კატა ერთხელ უცაბედათ ოთახში დაამწყყ-

დის. იმ ოთახში პატარა ფანჯარა იყო, რომელიც ერთი კაკუტით იკეტებოდა; როცა ოთახში შევიდენ, ფანჯარა გაღებული დახვდათ, კატა კი არსად ჩნდა. მაშინ განგებ დაკეტეს კიდევ რამდენჯერმე კატა, ის ყოველთვის გაიქცეოდა ხოლმე ფანჯრიდან; ერთხელ მიუყურეს და დაინახეს, რომ კატა ფანჯარაზე შეხტა, მოეზღაურა კაკუტს, იმდენი სწია, სანამ არ გამოაძრო, მერე მიაწვა რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფანჯრის ჩარჩოებს, გაალო და გახტა გარეთ.

მეორე კატამ შკაფის გაღება იცოდა; თუ შკაფში რძე ან სხვა რამე სასუსნაფი ეგულებოდა, ის მანამდის ურტყავდა თათს გასაღებს, სანამ არ გადააბრუნებდა, მერე ნელ-ნელა გამოწვედა კარს, გააღებდა და თავის სურვილს დაიკმაყოფილებდა.

ვისაც არ გამოუცდია, როგორ უმწარებენ ადამიანს სიცოცხლეს თავგები და ვირთხები, იმას არ შეუძლია დააფასოს ის დიდი სარგებლობა, რომელიც კატას ადამიანისთვის მოაქვს; თავგებს საშინლათ ეშინიათ ამ თავის დაუძინებელი მტრის, რომელიც ისე ჩუმად ეპარება, რომ ყოველი გაფრთხილება ფუტკია და რომელიც შეუბრალებლათ ჰნაცავს და აღრჩობს მათ ათობით და ასობით, და მალე მიატოვებენ ხოლმე იმ სახლს, სადაც კი კატა გაჩნდება.

მეცნიერმა ლენცმა გამოიანგარიშა, რომ ორთა შუა რიცხვით კატას წელიწადში შეუძლია 3,650 თავი შექამოს. თუ თავგები კი ნამეტანი გამრავლდა, მაშინ დღეში ოცსადაც მოერევა, ე. ი. წელიწადში 7,300 თავს და ვირთხების შესაფერ რიცხვსაც.

კატები ემტერებიან აგრეთვე ბევრ სხვა-და-სხვა მანენ მწერებს, კალიებს, ხოჭოებს და სხვ. გველებსაც კი არ შეუშინდებიან ხოლმე, ხშირათ აუტყებენ ომს და თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიან ამ ომიდან.

## ფიზიოლოგიური წერილები.

### წერილი VIII



დამიანს, ყველა ძუძუმწოვარს და ფრინველებს თბილ სისხლიანს უძახიან, რადგანაც თბილი სისხლი აქვთ. შენ, იქნება კიდევ გაიკვირვო და იკითხო; მაშ ცივ სისხლიანი ცხოველებიც არიანო? მაგრამ თუ ცოტათ დაფიქრდები, შენვე გაიხსენებ, რომ არიან; განა არ იცი, რომ თევზს, ბაყაყს ცივი სისხლი აქვს? საცა უნდა ცხოვრებდეს ადამიანი, თუნდა ცხელ ქვეყანაში, თუნდა ცივში, რა დროსაც უნდა გაშინჯო, ზამთარში, გინდა ზაფხულში,—მისი სითბო ყოველგან და ყოველთვის ვერ იქნება; რასაკვირველია, ზოგს ცოტა მეტი ექნება, ზოგს ცოტა ნაკლები. მე მსურს ამ წერილში ადამიანის სითბოს შესახებ გელაპარაკო; თუცა ამ სითბოს შესახებ წინა წერილებში თითქმის ყოველისფერი შეგატყობინე, მაგრამ ნათქვამს რომ ერთათ მოეუყარო თავი და გაგიმეორო, უფრო ნათლათ წარმოიდგენ, უკეთ გაიგებ და უკეთაც დაიხსომებ. თბილი წყალი რომ ჭურჭლით გარეთ დადგა ჰაერზე, რამდენსამე ხანს შემდეგ წყალი გაცივდება, რადგანაც სითბოს დაჰკარგავს: ერთი საგანი თუ თბილია, მეორე კი ცივი, ეს მეორე საგანი პირველს სითბოს ართმევს. ჩვენ კი, რაც უნდა ცივი დღე იყოს, მაინც არ ვცივდებით! რატომ? წყალი თუ ჰკარგავს სითბოს, ჩვენ რაღა ვართ? ჩვენ რა განგება გვითარავს? ჩვენც ვკარგავთ სითბოს და გვეცივდებოდით კიდევ, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ, რამ-

დენ სითბოსაც ვკარგავთ, იმდენსავე ვიძენთ ისევე, ამიტომაც არაფერი გვაკლდება.

ახლა ეს ვიკითხოთ, ამ დაკარგულის შესახებ სითბოს ვინლა გვაძლევს? ვინ და მიღებული საქმელი, როგორც უკვე იცი. წლებიდან სითხეთ ქცეული საქმელი სისხლში გადადის, სისხლი ურიგებს მას ტანის სხვა-და-სხვა ნაწილებს; ფილტვებიდან სისხლს მოაქვს ჰაერის ერთი ნაწილი—მჟებადი; მჟებადი სწევას საქმელს და ამგვარათ აჩენს სითბოს ჩვენ ტანში. როცა ჰაერი ცივია, მაშინ ადამიანი მეტ სითბოს ჰკარგავს, ვიდრე თბილ ჰაერში, ამიტომ მეტი სითბოც უნდა შეიძინოს; რადგანაც სითბოს წყარო საქმელია, მაშასადამე მეტი საქმელი უნდა შექმნოს. აი, ეს მიზეზია, რომ ყოველი ჩვენგანი ზამთარში მეტ საქმელსა ჰკამს, ვიდრე ზაფხულში, რადგანაც ზამთარში მეტ სითბოს ჰკარგავს, ვიდრე ზაფხულში. — თუ სითბო საქმლიდან ჩნდება, მაშ რაი დღე რომ საქმელი არა ექმოდ, ხომ სულ გავცივდებო, იტყვი შენ, პატარა ხანს ჩაფიქრდები და შემდეგ მიკვირებ: ეე, ტყუი; ბებია ჩემი ყოველ დიდმარხვაში თითო კვირას მარხულობს ხოლმე, მაგრამ კი არ ცივდება! მართალია, არ ცივდება, მაგრამ არც მე ვარ მტყუანი; საქმე მხოლოდ აი, რაშია: ჩვენი საქმელი შედგება იმისგანავე, რისგანაც შედგება ჩვენი საკუთარი ხორცი; თუ საქმელი დაიწვის და სითბოს გააჩენს, ჩვენი ხორციც დაიწვის და სითბოს გააჩენს; ხომ გავიგონია ანდაზა: ურემმა თუ შეშა ვერ მოიტანა, თითონაც ხომ შეშა არისო; თუ ჩვენ ტანს საქმელი არსაიდან მოუვიდა, თითონაც საქმელი არ არის! — დაიწვის და გააჩენს სითბოს. და მართლაც, როცა ადამიანი რამოდენსავე დღეს მშაერი რჩება, ის თანდათან ხდება, რადგანაც მისი ხორცი იწვის, რამდენ ხანს შეუძლია, რომ იცოცხლოს მშაერმა ადამიანმა? იმდენ ხანს, სანამ მისი ხორცის ნახევარი არ დაიწვის; ნახევარე თუ დაიწვა, ადამიანი ვეღარ იცოცხლებს, მოკვდება. ეთქვათ რომელიმე ადამიანი ოთხ ფუტს იწონს; ის რომ მშაერი დაამწყვდიოთ, თან-და-თან გახდება, წონა მოაკლდება და ორ ფუტამდის თუ დაჰკარგა თავისი.

წონა, ველარაფრით ველარ გამოაბრუნებთ. თუ რა საჭიროა ჩვენთვის სიტბო, ეს შენ უკვე რცი; ჩვენი ტანის ნაწილები ისეთი თვისებისა არიან, რომ, თუ გამთბარი არ არიან, სიცოცხლე არ შეუძლიათ. აღამიანს რომ გარშემო ყინულები შემოუწყო, ვიდრე 17 გრადუსი მოაკლდებოდეს ე. ი. ვიდრე 20 გრადუსამდე გაცივდებოდეს, მოკვდება; აგრეთვე აღამიანის სიტბომ თუ 42—43 გრადუსზე აიწია, ე. ი. 5—6 გრადუსი იმატა, აღამიანი მაშინაც მოკვდება.

რადგან გაეიცანით ზოგიერთი უმთავრესი მოვლენა აღამიანის აგებულებაში, მიემართათ ახლა თავის ტვინს. თავის ტვინი წარუოადგენს მთელი ჩვენი ტანის გამგეს; ის თავის ქალაშია მოთავსებული; ჰმგვართ გარეშე ქვეყნიერებას მოცილებულია, სქელი ძვლის კედლებშია მოთავსებული, მაგრამ მის გარშემო რაც კი რამ ხდება, ყოველისფერი იცნ. როგორ იგებს? ვინ ატყობიებს? ვინ და ნერვები. ნერვები ორგვარ დანიშნულებას ასრულებენ: ერთგვარი ნერვები თავის ტვინს ატყობინებენ ყოველისფერს, რაც ჩვენ ტანში, ან ჩვენი ტანის გარეშე ხდება; მეორე გვარი ნერვებით თავის ტვინი მართავს თავის სახელმწიფოს, ჩვენ სხეულს, და ატყობიებს მას თავის ნებას. ნერვები შეიძლება შევადაროთ ტელეგრაფის მართულებს; ამათი წყალობით მიდის ტვინთან სხვა და სხვა ამბები და მოდის ჩვენ ტანში ტვინის სხვა და სხვა განკარგულება. პირველ გვარ ნერვებს, რომლებიც თავის ტვინს სხვა და სხვა ამბებს ატყობინებენ, ეკუთვნის: თვალის ნერვი, ყურის, ყნოსვის, გემოვნების, გრძნობელობის. გადაჭრით ეს ნერვები, მაშინ თავის ტვინი ველარც არაფერს დაინახავს, ვერც გაიგონებს, ვერც გემოს გაიგებს, ვერც სუნს, ვერც ტკივილს, —ერთი სიტყვით აღარაფერთარი ამბავი აღარ მოუვა, ის მუშაობას შეწყვეტს და ჩვენც დავიძინებთ საღათას ძილით. როდემდის ვიძინებთ ასე? სანამ არ მოგვკვდებით. ერთმა ქალმა, ქართველი მეფის ჩამომავალმა, ოთხი გრძნობა დაჰკარგა: სმენა, ყნოსვა, მხედველობა და გემოვნება; შერჩა მხოლოდ ხეხების გრძნობა, —ისიც ხელში. ეს საცოდავი სნეული იწვა და თითქმის სულ ეძინა. ასი ზარბაზანი რომ

დაგეცალათ მის ყურთან, ვერ გამოაღვიძებდით; ხოლო ხელზე თუ მოჰკიდებდით ხელს, მაშინ იგრძნობდა და გამოღვიძებოდა. შეხების გრძნობაც რომ აღარ შერჩენოდა, მაშინ მისი გამოღვიძება შეუძლებელი იქნებოდა: ძილში ამოვიდოდა სული.

აგრეთვე გადაჭერთ ის ნერვები, რომლებითაც ტენი კუთებს ამოძრავებს და მაშინ მთელი ჩენი კუთები დადუმდებიან; ჩენი მოძრაობა შეუძლებელი იქნება. ტკივილს ჩენ ნერვების შემწეობით ვგრძნობთ. ბაყაყი რომ მაგიდაზე დასვა და ფეხში ნემსი უჩხელიტო, ბაყაყს ეტკინება და გადახტება; მაგრამ ფეხის ის ნერვი რომ გადაეჭრათ, რომელიც ბაყაყის ტენს ტკივილს აგებიებს, მაშინ ნემსი კი არა ნამცეცებათ რომ დაუკუწოთ ფეხი მაკრატლით, ან ნაკვერცხლებიც რომ დააყაროთ ზედ, ბაყაყი ალაგიდან არ დაიძვრის, რადგანაც ტკივილს ვეღარ გრძნობს. ჩენ თუ ვფიქრობთ, სხვა და სხვა სურვილი გვებადება, ვსწავლობთ რამეს, ყოველივე ეს თავის ტენში ხდება; ჩენი სული თავის ტენია.

თუ ყოველივე ნათქვამის შემდეგ მოიგონებ ხელახლათ, რაც შეისწავლე ფიზიოლოგიიდან, დარწმუნდები, რომ ადამიანი თავისებურ მანქანას წარმოადგენს; მასში თუ სხვა და სხვა სასიცოცხლო მოვლენას ვხედავთ, ყოველგვარი მოვლენის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ ეს რთული მანქანა დაიცვას.

ივ. გამბარტული.



## კ ლ ლ ლ.

ძლივს! ბოლოს მეც კოლოებში  
 გავერეი!.. სუმრობა საქმეა! ოთხი  
 კვირა გავიდა მას აქეთ, რაც დე-  
 და ჩემმა კვერცხათ დაძღო და ახ-  
 ლა, ბევრ ცვლილებას შემდეგ,  
 ძლივს ნამდვილ ფრთიან კოლოთ  
 გადავიქეცი! კვერცხში ცოტა ხანი  
 ვიუხვი, —სუთი დღე— მაგრამ მე-  
 ტათ მოხსწეენი ეოფილან იქ ეო-  
 ფნა, როგორც ვიწრო და ბნელ  
 სატუსალოში... ჩემი კვერცხი ჰა-  
 წაწა ლიტრასა ჰკავდა; იმხანით  
 ვიწრო ეელი ჰქონდა და ზედ სუ-  
 ფი ეფარა. მრავალი და-ძმანი მუაფ-  
 დენ, ეველა ჩემ კვარ კვერცხებათ  
 გაჩენილები!... ჩვენ მაძინ მეტათ  
 ჰაწაწკინტელები, უკუნურები ვი-  
 უავით, და შემწეც არავინა კვერც-  
 და! დედა ჩვენმა დააკოწიწა ლორ-

წოიან სითხით წოწოლა ნავის მსკავსი კვერცხი, მიკვცა  
 წუხლს და მიკვანება თავი! ვეუარენით წუხლში და ვცურა-



ობდით მთელი სუთი დღე-ღამე. ვედარ მოვითმინე იუ  
 ეოფნა, გავაღე ჩემი ვიწრო სენაკის კარი შეექვსე დღეს  
 და გამოვიხედე გარეთ! ციამთ უოველივე სიკეთე, რო-  
 გორც მე ქვეუნიერების დანახვა მიაძა! კაძკაძი მზის სსი-  
 ვები დაცქროდენ წულის სივრცეს, სადაც მე, კოლოს ჭია,  
 ვიმეოფებოდი. ჩემ გარეშემო ფუთფუთებდენ სსვა ჩემთა-  
 ნვე გამოსული ჭიები. ჩვენ დიდი თავეები გვექონდა, ზე-  
 ზე მსხდომი თვალები; ჰირის სახეზე ჯაგარივით გაძვე-  
 რილი კოკობი უღვაძები; მთელ ტანზე, კუდიდან მოყო-  
 ლებული, თანაბრათ გამწკრიებული ბღუჯა-ბღუჯა ბალ-  
 ნები და ტანის უკანა მხარეს— ჰაწაწა ლულა, რომელიც  
 შიკ წუალში დაცვთრევადა და ამით ვსუნთქავდით. ჩვენი  
 საჭმელ-სასმელი წუალი და მტვერი იყო, რომელსაც ებე-  
 ბის შემწეობით ვიურიდით და ვისხამდით მუცელში. ერთი  
 საათიც არ ვეოფილვართ ერთათ ჩვენ,— კოლოს ჭიები:  
 ძალე ცალ-ცალკე და აქეთ-იქით გავიფანტეთ. გველივით  
 მივიკლაკნებოდი, მივცურავდი მე სადღაც შორს, შორს  
 და მინდოდა გადაძეზომა ეს თვალ-უწვდენელი და, ჩემი  
 ფიქრით, განუსაზღვრელი წულის სივრცე. დიდხანს ვი-  
 უურუემელავე წუალში, ბოლოს უჭაერთ სული შე-  
 მიგუბდა და ისევ ზევით ამოვედი. მაგრამ ვაი იმ  
 ამოსვლას. უცბათ თვალი მოვკარ უშველებელ თევზს,  
 ჭიჭეინას, რომელიც გამოექანა ჩემკენ, თვალები შემომა-  
 ჭვიტა, ჰირი დააღო და დამანახვა ჩამწკრიებული ალმა-



სის კბილები, ღმერთო, რა რიგათ შემეძინდა!.. რა უნდა მექნა? მოვიკრიფე რაც ძალი და ღონე მქონდა და უცბათ გვერდზე მოვეცალე. თევზმა ვერ შემნიძნა.. მე გული დამიძვიდდა და ისევ უწინდელ ალაცას მივცურდი. მაგრამ აქაც საკვირველი სანახაობა ვნახე. წინ რაღაც საკვირველი არსება გადამეღობა და ეურადღებით დამცქერდა. „ეს რა მწერი უნდა იყვეს“—მეთქი, ვიფიქრე და მიუუახლოვდი. ვხედავ, რომ ამ უცხო არსებას წინ მსხვილი, კაბერული ტანი აბია, უკან კი—წვრილი და მოხრილი; გულზე ორი ლულა გამოსვლია და აშვერია ძაღლს, წეაღს შემოთ; სხეულის ბოლოზე—პტეელი კუდი და ორი წვრილი ჯაგარა გამობობდა.

„ნეტა რა მწერია“—მეთქი, კიდევ გავიძეორე, რომ ამ დროს უცნობი მწერი ალერსიანათ გამოძელაპარაკა:

— აა, გამარჯობა, კოდოს ჭიავ! გამარჯობა, ჩემო საყვარელო! რასა იქ და როგორა ხარ? მოდი ჩემთან! ჩვენ ხომ ნათესავები ვართ?

— ნათესავები!? საიდან გულ იღლია-მეთქი, გაკვირვებით შევეკითხე: მე და შენში რა არის საერთო? რა მსგავსებაა? საიდან სადაო, წმიდაო საბაო!..

— რა უკუნური და გამოუცდელი ხარ ჯერ, საცოდაო ჭიავ! მითხრა უცნობმა: მეც შენისთანა მატლი ვიყავი ერთ დროს; მაგრამ ახლა ღირსებით შენზე ძაღლს ვღკვევარ, რადგანაც ბობლათ გადავიქეცი და დღეს თუ

ხვალ ნამდვილი ფრთიანი კოლო გავხდებით. შენ რამდენი ტყავი გავიხდია, სიცოცხლე?

— არც ერთი, გენაცვა! ღმერთმა დამიჯაროს ტყავის გამძრობისაგან-მეთქი, მიუუტე.

— მაშ ჯერ სულ უსუსური ბაღანა ჰყოფილხარ, ბეჩავ!.. ჩემგან იცოდე, რომ შენ კიდევ სამჯერ გავხუნდები, სამ ჰირ კანს გაიმძრობ და ამ ხნის განმავლობაში თანდათან გაიხდები; მეოთხე კანი რომ გამოგეცვლება, მაშინ ბოჭი, ან ბობლი გავხდები, აი როგორც ახლა მე მხედავ.

დაკვირვებით გაუძინჯე ეს ბობლი და საშინლათ გამიკვირდა, რომ ჰირის ნასახი არსად ეტეობოდა.

— დიდი ბობოლა ვინმე ბრძანდებით, მაგრამ, თუ უკაცრავათ არ ვიყუე ამ კითხვაზე, რატომ ჰირი არა გაქვთ-მეთქი. შევეკითხე მე.

— ჰირი აღარა მაქვს, გენაცვა! რაკი მატლები ბობლათ ვიქცევი, სანამ ამას შებდე კოლოებით არ გავხდებით ჩვენ აღარას ვჭამო; მაგრამ სამაგიეროთ მერე კი....

ამ დროს რაღაც საშინელება მოხდა: წყალი შეინძრა, ხმაურობა მოისმა და ჩემ წინ ბორბოტი, ღორბუცელისვი კი გაჩნდა... აი, იმისი ფეხი გახმეს და იმისი ნისკარტი! თვალის დახამხამებაში ჩაიურჭუმეზავა წყალში, დაბლო თავისი განიერი და ჰტუელი ნისკარტი, საცოდავ ჩემ მობასე ბობლას ჰირში სიტყვა გააწყაეტინა და



ელუჭი გაადინა! შიშისგან თავსარდაცემული გავსრიალდი მწვანე ლერწმებისაკენ, იქ თავი ძევაფარე ფოთლებში და ღმერთს მადლობა შევწირე მშვიდობით გადარჩენისათვის.

დანარჩენი ხანი ჩემი მატლობისა მ'ვიდათ და ბედნიერათ გავატარე. გადიოდა დღეები და მე ისევ იმ სამოთხის მსგავს ალბას ვკვხოვრობდი, სადაც ბედმა ჩემმა შიმაგდო. ჩემ ქვემო და გარშემო თხელი, მღვრიე წყალი იდგა, სადაც მატლები, ბობლები, თავკომბალები და სხვა მწერები ათასობით დაფუთფუთებდნენ და სშირათ მებახსებოდნენ; ჩემ ზემოთ, სშირ მწვანე ლერწმებში, კოდოები და მუძლები წრეოდნენ; ცქელ კაბიანი კალიები, ბუხი — ბზუილები, წითელ-ყვითლათ მორთული ჰეჰელები დაფრინავდნენ და მატკობდნენ თავიანთი ბზუილით, ზუზუნით, წუწუნითა და ჭრიჭინით. მხიარულათ გავატარე ჭიობისა და ბობლობის დრო, თუძცა კი ამ მეორე ხანას განმაგლობაში შიშხილი გვარინათ მაწუსებდა. ამ დროს ვიგრძენ, რომ ტანზე კანი გადამეჭიმა და დამისკდა. მარდათ ამოვცურდი ზევიტკენ და... ოჰ, სისხარულა!... ვხედავ რომ ორი წვეილი ფრთები ამომდის, სამი წვეილი ცქელი ფეხები თავისუფლათ მოძრაობენ!... აწი მე ბობლი აღარა ვარ, — მე ვარ კოდო-ბზუკუნა!

ახლა მე ზაწია თავიცა მაქვს, გულიცა და მუცელიც. ჩემ ხორთუმს ოთხი წვეტიანი ჯაგარი და ბუდე აქვს. ეს ბუდე ღარჩვით მოევანაღია და როცა არ ვიკბინები, შიკ

აწვევია ნემსებივით ჯაგრის ისრები.. მაგრამ მე მინდა კბენა, მე მინდა ჭამა. ახლა კოლო ვარ და შემიძლია ფრენა, ფრთების გაშლა, ჰაერში ასვლა, აღდამიწაზე ჩამოსვლა.

იბედა, ბევრ კემპრიელსა და ნოეიერ საზრდოს წაუაწყდები... ოხ, ბედნიერი ვარ, რა კბუთფილი ვარ ჩემი ბედისა!

წენარს და თბილი ტაროსია. აკერ ცაში მზე ბრწყინვალეებს. სიო არსაით იძვრის. სიფთხილით გამოვძვერი კანის ნახრალიდან, მარღათ მოვექეცე ფეფებით ჩემ გამონაცვალ ტუბო ზევით, გაუძალე იალქნებივით ფრთები და, როგორც სომალდი, მივცურებო ნახირისაკენ. მივაუენე ნახირას ნავი, გავიძვრე ფრთები და გაუფრინდი სანადიროთ.

-- ხაბარდა! კოლო მოფრინავს! ზეცის სივრცეს ვფლობებლობ, თავისუფლათ, დაუღალავათ მი-მოვუვლი დიდ მანძილს; მხიარული ვარ, სიცოცხლით სავსე. ვიკვებები ადამიანებისა და ზირუტევის სისხლით და ხან-და-ხან ისე, გასართობათ, რაიმე მცენარეების წვესსაც ვწუწნი...

ჩემი მუცელი იყოფება რვა უჯრათ, რომელსაც გარედან ბეწვები აშვენებენ. წაბლისფერ ფრთებში წვნიკი ძარღვები მაქვს დაქსელილი. ჩემი კანი თხელი, სათუთი და გამჭვირვალაა. როცა ვისიმე სისხლს დავეწაფები, — მაშინ გავიბერები, ტვიზსავით გავიტიკნები და ღაღისფერი გავხდები, ჩემი საკუთარი სისხლი კი, როგორც ეველა მწვრებისა; თეთრია. ძვლები კი არა მაქვს. ვსუნთქავ სასუფე-



თი ან ეანურატობით, რომლებიც მასხია მუცელზე. ფეხები ჩინებულათ მაქვს მოწეობილი. ჰტველ ალაგზე, მჭრელ რამქებზე, თუ თავდაუირბა, ეველგან თავისუფლათ და მარდათ დავდივარ. ხან-და-ხან შეეფრინდები სადმე ოთახებში, დავაჯდები სარკეს, სურათებს, წიგნებს, რაც მომხვდება, და ვსვერაჲ, რითი ჩავიგემრიელო ჰირი. დავინახავ თეთრ-ნაზ ხელებს, ან ჰირისასხეს ადამიანისას, კაჲექანები ზუსუნით იმისაკენ, ჩავუერი ჯაგრებს რბილ კანში; ჩავეოფ ცხვირს ჭრილობაში და ვწოვ თბილსა და გემრიელ სისხლს. ღმერთმა კი დამიფაროს და, თუ მომასწრეს, ეს ნა'ხი ხელები სძირათ გამაფთხობენ ხოლმე, ან მთლათ სულს გამიფთხობენ. მაგრამ იმდენი ემძაკობაცა მაქვს, — ჰატარა კუდიანი ვარ, — ისე ვახერხებ, რომ მალე გამოვძლე და კავუღკე ჩემ კზას. ჩემი ალებ-ღამე და სიხარული ღამ-ღამეობით აჩრის, როცა ადამიანებს ძინავთ. ამათ დიდათ ვეჯავრები და დიდი დაუძინებელი მტრები აჩრინ ჩვენი გვარეულობისა. ვინ მოთვლის, რამდენი სული კოღო დაღუჰულა იმათი ხელიდან! რაებს არ იგონებენ ჩვენ საწინააღმდეგოთ: ხან ცეცხლს (ლამპარებს) აგვინთებენ და ჩვენის გამოუცდელობით იმის ალზე სასიკვდილოთ ვინრაკებით; ხან ბადეებს კვიკებენ; ხან საწამლავს კვიდგანენ და კვსოცავენ შეუბრალებლათ. ჰირუტეუებიც მავ დღეს კვაუენებენ; ზოგი იმათგანი კეჭამს კიდვც. მაგრამ ეველასე შეუბრალებლათ ჩვენ ცივი ქარი

გვეპრობა. როცა ის ამოუბერავს და თან წვიმასაც წამოუშენს, ის თქვენ ბტერს, რაც ჩვენ დღე გვადგება! მხაფრი ქარი ასობით გვასაღებებს წუთი სოფელს, მხაზუნა წვიმა —ათასობით გველუტს და გვაკლებს სწორ-ამხანაგებს!

სამაგიეროთ რა სიამოვნებასა და თავისუფლებასა გგრძნობთ, როცა წინარი, თბილი და საამო ამინდებია! მას, კოლო — ძმებო, გაფერინდეთ ჭაერის სივრცეში; ვისიამოვნოთ ზაფხულის მზის სსივ ქვეშ და დაუტკებეთ მოკლე სიცოცხლით ჩვენებურათ, კოლოსებურათ!

თან—ენ კან—ინ.



## საპვირველბანი გუნაგისა.

№ 20.

ენკინარი \*) (Dipsacus).



ზოდი მეგობრები არიან ერთმანეთისა უვაგილები და მწერები. ისინი ერთი მეორისთვის არიან გაჩენილი და მომეტებულ მათგანს უერთმანეთოთ სიცოცხლეც-კი არ შეუძლიათ. ჩვენ ვამბობთ აქ, რასაკვირველია, მხოლოთ ფრთიან (ძფრენავ) მწერებზე.

რას იზამდენ საწუალი პეპელები, რომლებსაც სულ რამდენიმე დღის სიცოცხლე ძლივსა აქვთ მინიჭებული, რომ უვაგილის ნექტარი არა უოფილიყო მათთვის გაჩენილი? რა უნდა ექნათ ფუტკრებს, კოლოებს, კრასანებს და მათ მავარ მწერებს, რომ უვაგილები არ თავაზობდენ მათ მზა-მზარეულ სიტკბოებას და უვაგილის მტვერს? როგორ მოძრავდებოდა მრავალი მცენარეულობა, რამ ამ მწერებს არ გადაჭქობდესთ ერთი უვაგილიდან მეორეზე მათი ნაყოფიერი უვაგილის მტვერი?

\*) Ворсянка — გოქმო, ენკინარი, ბურძგალა, ქაფხაფხა, სავაკია. იხ. ლექსიკონი რ. ერისთავისა.

მაგრამ ბუნება კონივრულათ არის მოძარტული და ისე აქვს უკვლახფერი მოწყობილი, რომ ერთი მეორეს ინახავს, ერთი მეორეს ემსახურება და მით ორივეს საქმე კეთდება. ასეა სწორეთ მცენარეებისა და მწერების საქმეც: მწერი არ იშურებს უვაჟილისათვის არავითარ შრომას და სამსახურს და უვაჟილიც არა ჭსოგავს მისთვის არა რა სიკეთეს.

ბევრია მწერთა შორის, რასაკვირველია, ისეთებიც, რომლებსაც ზარბლი თუ, თორემ სიკეთე-კი არა მოაქვს-რა მცენარისათვის. ამისთანა შემთხვევაში მცენარეცა ცდილობს აიძროს თავიდან ეს დაუხატელებელი სტუმრები.

ერთი ამ გვარი მცენარეთაგანი არის ის, რომლის სახელიც ჩვენ ამ წერილის სათაურათ გვაქვს ამოწერილი. ეს არის ენკინარი. ამას ისეთი ხერხი უხმარია, რომ ვერც ერთი მანე მწერი ვერ მიაღწევს მის უვაჟილს, ვერას აკენკავს მისგან.

ფოთლები ენკინარს უსხედს ერთი მეორის ჰირდაჰირ, ეუნწები ამ ფოთლებისა მოკლეებია, განივრები და ერთმანეთთან შეხორცებული. და ისე სხედს ეს წვეილ-წვეილი ფოთოლი,



ენკინარი.

რომ ენკინარს უკვლა მუხლთან ჰატარ-ჰატარა ფილა-



საეზო ორმოები აქვს დაკეთებული. ამ ფოთლის უენწის ორმოებში მუდამ წყალი უდგას ენკინარს.—თუ წვიმაა, ხომ წვიმის წყლით გავესება და თუ არა, ღამ-ღამეობით ჩადგება ხოლმე შიგნით ნამი და ეს რამდენიმე ცვარნი ნამიც სრულიად საკმარისია მისთვის.

აი, მოცოცავს ძირიდან რომელიმე ჭია. მოადგა კიდევ ფოთლის ძირებს, ავიდა ორმოს ჰირზე, ჩაიხედა შიგნით და გაუსკდა გული: შიგნითაა დაკუბებული. უკლის, დაცოცავს გარეშე და, რა დარწმუნდება, რომ ვერ გაატანს ამ ზღვას, ბრუნდება ისევ უკან უურბე ჩამოყრილი. ჭინჭველა ხომ უფრო გონიერია ეველა ამ უფროთ მწერებზე და ისიც ვერას აწუობს ამისთანა დაბრკოლებასთან.

ლადო აღნიაშვილი.




# სამეცნიერო გასართობი

№ 10.

უცნაური აბაზიანი.

დიდუ ცარიელი მათლაფა, დასსი ზედ ცოტა წუალი და ჩაგდე შიკ აბაზიანი. ფული რაც უფრო ახალი იუოს, ისა სჯობია. მოიტანე მერე ერთი ცარიელი, მიწ მომრგვალებული, ჩაის ჭიქა და დააზირქვავე ზედ იმ აბაზიანზე. აიდე მოგრძო ჩალა, მოხარე, ამოდე ჩალის მოხრილი თავი ჭიქის ქვეშ და გამოსწოვე ჭაერი. ჭიქიდან რამდენიც ჭაერიც გამოვა, იმდენი შიკ მის მავიერ წუალი შევა და წუალი ჭიქაში ცოტა მადლა დადგება.

ახლა დაუბახე შენ ამხანაგებს, დასსი ისე, როგორც



ჩვენა გვაქვს აქ ნახვენები, და უთხარი გამოიცნონ—რა ფულია წუალში ჩაგდეული? ის, რომელიც უფურებს ფულს ჭიქის კვერდიდან, წუალხემოთ (ის. სურ.—ა),

იტევის— აბაზიანიაო; ის რომელიც დასცქერის ზემოდან (ის. სურ.—ბ), იტევის— უსალთუნიაო და ის, რომელიც შეჭურებს კვერდიდან, შიკ წუალში (ის. სურ.—გ), იტევის— მანეთიანიაო. და იმათი გაძველება შეუძლებელი იქნება, სანამ არ ასწევ ჭიქას და არ გამოიღებ იქიდან აბაზიანს. —



## სიბუჟის ქალა.

(რუსულიდან)



ერთ კაცს ძვირფასი ცხენი ჰქუავდა: ვინც  
კი ნახავდა, უველას თვალი ზედა რჩე-  
ბოდა. გავარდა ამ ცხენის ქება-დიდების  
ხმა ქვეყნათ და საიდან ვინდა არ მო-  
დოდენ იმის სანახავათ. სხვათა შორის,  
ერთ უცხოელს მოეწონა ის ცხენი და როგორც უნდა  
დასჯდომოდა გადაწყვიტა იმისი შეძენა. რას არ დაჰპირდა,  
რა უღირბლი ფასი არ შეაძლია, მაგრამ ვერაფრით ვერ  
დაითანხმა ჰატრონი და ვერ გააბედუნა საუკარელი ცხე-  
ნის გაყიდვა. მაშინ ცხენის შემენის სურვილით გატაც-  
ბულმა კაცმა შემდეგ ხერხს მიმართა: გაიმურა პირის სახე  
სადებავით; ჩაიცვა მონძები, შეიხვია ხელ-ფეხი და კისე-  
რი დასახინრებულ მათხოვარსავით ღ ასე აბრანძული გაუ-  
დგა იმ კვას, რომელზედაც ცხენის ჰატრონს უნდა გა-  
მოეკლო. როცა უკანასკნელი მიუახლოვდა, ცრუ-მათხო-

ვარი დაჯდა გზის ჰირას და მიმართა მას დასუსტებული და შეწუხებული ხმით:—ღვთის გულისათვის გამიკითხე დავრდომილი, შორი გზიდან მოვდივარ, მოვიქნცე და აგერ სამი დღეა აქედან ფეხი ვეღარ მომიცვლია, რომ სადმე ლუკმა ჰური ვიპოვნო! დამისხენ სიკვდილისაგან, ღმერთი გადღეგრძელებს! ცხენოსანს შეებრალა გაჭირვებული კაცი და უთხრა:—შემომიჯექ ცხენზე, შინ წამომეყვი და რითაც შემეძლება, ჰატვისა გცემო!

—ადგომა არ შემიძლია, ბატონო, მუხლებში ჯანი არა მაქვს!

გულკეთილი ცხენოსანი ჩამოხტა, მიიყვანა ცხენი მათხოვართან და დიდი გაჭირვებით შესვა ის ზედ... მათხოვარი რომ უნაგირზე მოექცა, ცხენს ქუსლი შემოჰკრა, გააქროლა და შორიდან ასე მოაძახა:—წადი და საცა შენი თქვა, იქ ჩემიცა თქვიო! მე ის კაცი ვარ, ცხენს რომ გევაჭრებოდნ და არ მომიდგე. ახლა გამოეთხოვე სამუდამოთ შენ ცხენსაო! სახტათ დაჩენილმა ცხენის ჰატრონმა ცოტა ფიქრს შემდეგ დაუვირა მატყუარას:—ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი და გთხოვ უური მიგდოვო. იმან შეაყენა ცხენი. ცხენის ჰატრონმა უთხრა:—ცხენი ხომ დამტყუე და მიგევახს; ღმერთმა ისე მოგახმაროს, როგორც მეძრთლებოდე, მაგრამ ერთ რამეს გვეედრები და გთხოვ ის მაინც ამისრულეო: ნურავის ნუ ეტყვი რა ხერხით წამართვი შენ მე ეგ ცხენიო!



— რათაო? ჰკითხა მატეუარამ.

— იმიტომ, რომ ქვეყანა გაიკებს და სხვებმაც რომ გაჭირვების დროს შემწეობა ითხოვონ, ალბერ გაიკითხავენ, ვაი თუ ესენიც ტუუოდნო და მაშინ მე გავხდები მიზეზათ, რომ ხალხი ერთმანეთს ალბერ დაინდობს და გაჭირვების დროს შემწეობას ალბერ აღმოუჩენს, რადგანაც უველას შიში ექნება არ მოტეუვდეს ისე, როგორც მე შენგან მოვტეუვდიო!.. უთხრა ცხენის ჰატრონმა.

— ბორტობა შურმა თვალები დამიბრძავა და გზა მართალს ამატდინა, მაგრამ მაგ შენმა სიტყვებმა კეთილ გზასე დამაუენეს, თვალები ამიხილეს და კთხოვ მახატვიო შეცოდებაო! უთხრა მატეუარამ ცხენის ჰატრონს, გადაეხვია, გადაკოცნა და ცხენი უკანვე დაუბრუნა...

ცხენის ჰატრონმა მიიწვია მატეუარა თავის სასლში, კაი ჰატვიო სცა და ამას შემდეგ დიდი მეგობრები ვახდენ.

თან — ენ კან — ინ.

## პირველი სასჯელი.

(ფრანგულიდან).



ოლიკო ქარივით შევარდა ოთახში ბ კახქარებული დაემებდა დედას.

— დედა, დედა, სადა ხარ? მოდი ძალე. ოჰ! მე ისეთი... ისეთი კახქარებული ვარ,

რომ...

— რა არი, შეილო? პირველ მოწაფეთ ჩაგრიცხეს? მიაუვირა დედამ და მხიარულათ ხელები გაუშვირა ბავშს, რომელიც, თუძცა მხოლოთ რვა წლისა იყო, შეწივრათ სწავლობდა და პირველ მოსწავლეთა შორის ირიცხებოდა.

— არა, დედილო, განა არ იცი, დღეს მოწაფეების გადარჩევის დღე არ იყო. მაგრამ მე ისე მოხარული ვარ რომ.. მთელ ჩვენ კლასს სასჯელი მოგვცეს.

— როგორ! უთხრა დედამ გაკვირვებით. ეკ არის შენი სინარჯლის მიზეზი? იცი, რომ მე ძალიან უკმაყოფილოთა ვარ შენ რომ აგრე მხიარულს გხედავ!

— დედილო, მაგას ნუ მეუბნები, შეჭვივირა ბავშმა და დედას თავისი ზატარა ხელებით კისერზე ჩამოეკიდა, — წარმოიდგინე, რომ მეც ჩემ ამხანაგებსავეთ სასჯელი მომცეს. ისინი ასლა მე ბაიას აღარ დამიძახებენ, რადგან მეც იმათსავეთ დასჯილი ვარ, მთელ კლასთან ერთათ.

— მერე რათ მოგცეს ეკ სასჯელი? ჭკითხა დიმილით დედამ.

— ლევანმა თავისი დაოქრული ბუხანკალა გააფრინა კლასში იმ დროს, როდესაც მასწავლებელი დაფასთან იდგა და ვერ დანახა. მარტო რაღაც ბზ..ზ..ზ. მოესმა... ჭო! რა სასაცილო იყო!

— მერე სუეველანი რათ დაგსაჯეს?

— იმიტომ რომ ლევანს არ უნდოდა გამოტენილიყო. გაცემა ხომ უსვინიდისობა იქნებოდა... ჩვენ არაფერი არა



ვთქვით... სწორეთ ისე, როგორც დიდრონებმა იცინა... მაგრამ ლევანის უსირცხვილობა, კლასიდან გამოვედით თუ არა ის ძალიან გავლასეთ... მასწავლებელი ძალიან სასტკიან, სწორეთ ისე როგორც უფროს კლასში. სულერთობა, სასჯელი ჰინც ძალიან სასიამოვნოა: მთელი ზმნის „სიუვარულის“ მიმოხვრა უნდა დავეწეროთ, მართა ღია, ეს ერთობ ძნელია...

სოლიკო გაიქცა, მიუჯდა მაგიდას და სასჯელათ მიცემული გაკვეთილის სწავლა დაიწყო, მართლაც ერთობ გრძელი და ძნელი სასწავლებელი იყო, ბევრი მწარე თფლი დაღვარა, შუბლი შეიჭმუნა და სასჯელის სინარული და სიტკბოება სიმწარეთ გადაექცა.

ბოლოს, როგორც იყო, გაკვეთილი გაათავა და უჩვენა დედას.

— აბა, შვილო, ახლა ხომ იგრძენ რამდენათ სასიამოვნოა ეკ სასჯელი!

სოლიკომ თამაშობის დრო ერთიანათ სასჯელათ მიცემული გაკვეთილის შესწავლას მოახმარა, მერე საჩქაროთ წამოვარდა და გაიქცა სასწავლებელში.

სოლიკო ამას იქით აღარ შენატროდა უფროს ბავშებს.

ხ ა ლ ხ უ რ ი .

(ჩაწერილი გრ. აფშინაშვილისაგან)

ღეთის მადლით ცოტა მეცა მყავს  
ძროხა და საქონელია;  
თუ ჭკუას დაეძებ, გასწავლი,  
ჭკუა ძნელი საპოვნელია.


(ჩაწერილი ივ. გომელაურისაგან)

წიგნო, წიგნო, წიგნო ჭრელო,  
შე კარგო და სასწავლელო!  
ჭკვიანზედა ჭკვიანი ხარ —  
უჭკუოსგან საჯაერელო.

ა ნ დ ა ზ ა .

(ჩაწერილი გიორგი ბოკერიასაგან).

ვინც ზათხულოდით არ იმკის,  
ზამთარში სად რა იშოვოს?..  
უცეცხლოს მაინც შესცივა,  
რა ვინდ პატარა ითოვოს!..



## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ქუთ. სამოქ. სასწ. მოსწავლე პავლე კახაძისაგან).

ჩემი პატარა მანანა, ხან გაიცინებს ხან არა.

უმთოსა მთასა, უგზოსა გზასა  
დადის ლიპარი ასწორებს გზასა.

წევს ვინმე წერილსა კუბოსა,  
ხელ აღმით ამოღებულსა,  
ავი და კარგი მისგან სკირს  
ყოველ სულს დაბადებულსა.

(წარმოდგენილი გიორგი ბოკერიასაგან)

საამო საქმელს ვამზადებ  
წენისაგან მცენარისაო;  
თუმც ფრთა მასხია სამკეცი,  
არ ვარ ფრინველი ცისაო!  
მტრისათვის ვლესავ მახვილსა,  
მოყვრისთვის მზათ ვარ ძღვენითა;  
რა სულდგმული ვარ, იფიქრეთ,  
გამოიცანით თქვენითა!..

## ა ნ ა გ რ ა მ ა


(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

პირველი არის — ასული,  
მერე გახდება მშობელი;  
ულის გამწევი კაცისა,  
ერთგული, თანამგრძობელი.  
მეორე არის თიხისა,  
წნილისა ჩასაწყობელი.  
მესამეს — ვადნობთ ცეცხლითა,  
წერილსა დაეფარება;  
სამივე ოთხი ასოთი,  
ადვილათ დაიწერება.

## შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი აპ. წულაძისაგან).

პირველსა ხმარობს რაჭველი  
სიტყვის თავში სასაცილოთ,



მეორეს გლეხი მუშაობს,  
ვერ იცხოვრებს ის უმისოთ,  
მთლათ ადვილი საცნობია,  
ექესსა ღლეში შექმნილია;  
არაფერი არ აკლია  
ყველაფერით შემკულია.

# რებუსი


(წარმოდგენილი არჩილ გულისაშვილისაგან).



ბ



ს




ს



წყლის  
არძო.



ბ 10,000 მ



მინდორი  
ანუ?



მ 10'



ს



ს ქი

ღამის მანა-  
თობელი.

ღ 100' მ



ბ 10'





## № X გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ბარძიმი, 2) თითები, 3) წიგნი, 4) მზე.

ანაგრამა: რებუსი — რუსები — სურები. **ს უ ი ს ი**

შარადა: ბებია. **ზ ე ა**

რებუსი: ჭკუას უფრო მაშინა აქვს ფასი, როცა მას კაცი კარგ საქმეს ანდომებს.

რებუსი ახსნეს თფილისში. სათაედ ახ. სკოლის მოწაფემ დიმ. დეკანოზიშვილმა და პირველ. გემ. უფროს განყოფ. მოსწავლე ქალმა საშა ციციშვილმა. გამოცანები, ანაგრამა, შარადა და რებუსი ახსნეს: ალისუბნის სკოლის მესამე განყოფ. მოსწავლე ერმალოზ სუხიაშვილმა, და ე. ბოჭორიშვილმა. აკეთის სკოლის მოსწავლეებმა: შალიკო ჭანტურიშვილმა, ისაკა ვადაჭკორიამ და ელასა წულაძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.